

**საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრი**

**საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში –
განვითარების დინამიკა და ტენდენციები**

კვლევის ანგარიში

თბილისი
2010 წელი

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
1. კვლევის მიმოხილვა	
და მეთოდოლოგია	7
1.1. პრობლემის დასაბუთება	7
1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები.....	8
1.3 კვლევის მეთოდოლოგია	8
2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების შეფასება	
ინსტიტუციონალური განვითარების დონეების მიხედვით	12
3. კვლევის შედეგების აღწერა	
(ორგანიზაციების დახასიათება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით)	16
3.1 კრიტერიუმი - მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და გამოცდილება	16
3.2 კრიტერიუმი - გარე ურთიერთობები	28
3.3 კრიტერიუმი - სტრუქტურული განვითარება	37
3.4 კრიტერიუმი - ოპერაციული პროცესები (ორგანიზაციული პროცესების ფორმალიზების ხარისხი - დაგეგმვა, საჭიროებების გამოვლენისა და აქმიანობის შეფასების პროცესები, დოკუმენტაციის მართვა).....	41
3.5 კრიტერიუმი - მისია, სტრატეგია.....	48
3.6 კრიტერიუმი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	51
3.7 კრიტერიუმი - ადამიანური რესურსების მართვა	55
3.8 კრიტერიუმი - ფინანსური რესურსები, ფინანსური მდგრადობა	64
საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობა	76
სოფლად სათემო ორგანიზაციების განვითარების მდგომარეობა.....	86
4 ძირითადი დასკვნები	100
5 Civil Society Organizations in Georgia – Summary	102
6 დანართები	112
დანართი № 1 შეფასების კრიტერიუმები	112
დანართი № 2 ორგანიზაციული განვითარების დონეების დახასიათება	113
დანართი № 3. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციები.....	119
დანართი № 4. კვლევის ფარგლებში დასახელებული დონორების სია.....	125

ნინასიტყვაობა

ნინამდებარე დოკუმენტი ასახავს 2009 წლის მიმდრიდან 2010 წლის თებერვლამდე პერიოდში განხორციელებული კვლევის - „საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქართველოში - განვითარების დინამიკა და ტენდენციები“ -- შედეგების ანგარიშს.

ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების შეფასება ბოლოს 2005 წელს ჩატარდა - საქართველოს გაეროს ასოციაციისა და სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, რომელსაც მხარს უჭერდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო მოქალაქეთა ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში.

მიმდინარე წელს მსგავსი კვლევა ფონდების „ღია საზოგადოება - საქართველო“ და EED ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ, საქართველოს გაეროს ასოციაციის ექსპერტებთან თანამშრომლობით.

კვლევის მიზანი იყო ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისა და განვითარების მდგომარეობის სურათის ასახვა და სხვადასხვა (მათ შორის რეგიონების მიხედვით) თვალსაზრისით გაანალიზება.

ორგანიზაციული შესაძლებლობების კვლევა განხორციელდა რვა მიმართულებით:

1) საქმიანობის სფერო; 2) გარე ურთიერთობები; 3) სტრუქტურული განვითარება; 4) ოპერაციული პროცესები; 5) მისია და სტრატეგია; 6) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 7) ადამიანური რესურსების მართვა და 8) ფინანსური რესურსები.

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო თბილისისა და საქართველოს 9 რეგიონის 287-მა ორგანიზაციამ.

კვლევის მეთოდოლოგია დაეფუძნა 2002-2005 წლებში ჩატარებული კვლევის მიდგომას, კვლევის ინსტრუმენტი წინა კვლევების ინსტრუმენტის გათვალისწინებით გადამუშავდა და, შესაბამისად, 2010 წლის კვლევა ასევე მოიცავს სექტორის განვითარების შედარებით ანალიზს 2005 წელთან მიმართებაში.

შემაჯამებელი მიმოხილვა

საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ნაწილი მეტ-ნაკლებად სტაბილურად ვითარდება. 2005 წელს ჩატარებულ კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების თითქმის ორი მესამედის (62,2%) ინსტიტუციონალური განვითარების საერთო ქულა გაზრდილია, დაახლოებით მეოთხედის (25,7%) ქულა არ შეცვლილა, მხოლოდ მცირე ნაწილის (12,2%) ინსტიტუციური განვითარების ქულა შემცირდა.

I დონის ორგანიზაციებიდან უკლებლივ ყველას მოემატა ქულა, II დონის ორგანიზაციების ნახევარზე მეტს ასევე მოემატა ქულები, მესამედზე მეტმა კი იგივე ქულა მიიღო. შემცირებული ქულები აქვთ ყველაზე მეტად III დონის ორგანიზაციებს. 2005 წლის კვლევაში მონაწილე IV დონის ორგანიზაციებიდან მხოლოდ 5 -ის მოძებნა მოხერხდა 2010 წლის კვლევაში. ამ მონაცემებით შეიძლება დავასკვნათ რომ იმ ორგანიზაციების დიდი ნაწილი, რომლებმაც 2005 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში მოახერხეს ორგანიზაციის შენარჩუნება, განაგრძობენ ინსტიტუციურ განვითარებას.

2010 წელს გამოკითხული ორგანიზაციების 53% ორგანიზაციული განვითარების მაღალ (I და II) დონეზე იმყოფება (2005 წლის მონაცემებით - 48.4%). მათ შეუძლიათ განაგრძონ საქართველოში სამოქალაქო სექტორის შემდგომი თვითგანვითარების საყრდენი ძალის ფუნქციის განხორციელება.

დღესაც, განვითარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები რეგისტრირებული რაოდენობის მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენენ. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციული განვითარების მიხედვით დედაქალაქში მოქმედი ორგანიზაციები კვლავინდებურად უფრო განვითარებულია. I დონის ორგანიზაციებიდან უმრავლესობა თბილისის ორგანიზაციებია.

გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, თბილისის ორგანიზაციებმა 2005 წელთან შედარებით დაბალი საშუალო მაჩვენებელი მიიღეს, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია თბილისში ახალგაზრდა ორგანიზაციების გამოჩენით, რომლებშიც ფორმალიზაციის და ორგანიზაციული განვითარების ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია. გარკვეულ რეგიონებში (მაგ. გურია, იმერეთი, სამეგრელო) კი, პირიქით, კრიტერიუმების მიხედვით მიღებული საშუალო ქულები 2005 წელთან შედარებით მომატებულია, რაც, ნაწილობრივ იმითაცაა განპირობებული, რომ შემორჩა და გადარჩა ის ორგანიზაციები, რომლებიც შედარებით განვითარებული იყვნენ, ხოლო ნაკლებად განვითარებულმა ორგანიზაციებმა კონკურენციასა და რთულ პირობებს ვერ გაუძლო. შესაბამისად, მიღებულ საშუალო ქულებში განვითარებული ორგანიზაციების მაჩვენებლები მეტი წონით მონაწილეობს.

ორგანიზაციული განვითარების კრიტერიუმების მიხედვით გამოკითხულმა ორგანიზაციებმა ყველაზე მაღალი შეფასება მიიღეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით, ხოლო ყველაზე დაბალი ქულა ადამიანური რესურსებში. 2005 წელთან შედარებით კრიტერიუმების საშუალო ქულა გაიზარდა მისია/სტრატეგიის ქულაში, ხოლო შემცირდა ადამიანური რესურსების ქულაში.

2005-2009 წლების განმავლობაში ორგანიზაციების მიერ დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა 2002-2005 წელთან შედარებით გაიზარდა. ასევე გაიზარდა სხვა წყაროებით (ბიზნესი, სახელმწიფო) განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოკითხული ორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობისათვის საერთაშორისო გრანტები ისევ რჩება შემოსავლის ძირითად წყაროდ. 2005 წელთან შედარებით გაზრდილია სახელმწიფოს შეკვეთები/გრანტი (14,1%-დან 22,1%-მდე) და მნიშვნელოვნად შემცირებულია საწევრო გადასახადის წილი (33,1%-დან 13,3);

ჯამური დაფინანსება ადგილობრივი წყაროებიდან (საწევრო, შემოწირულობა კერძო პირისგან და ბიზნესიდან, სახელმწიფო შეკვეთა, საკუთარი შემოსავალი) ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლებში საშუალოდ 25%-ს შეადგენს, რაც ფინანსური სტაბილურობისა და დაცულობისთვის არცთუ ისე მაღალი მაჩვენებელია. არასახარბიელო მდგომარეობაა ასევე დაფინანსების წყაროების რაოდენობის თვალსაზრისით ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ორგანიზაციების უმეტესობას (61,3%) დაფინანსების მხოლოდ ერთი ტიპის წყარო აქვს

შემოსავლების ჯამური მაჩვენებლები 2007, 2008 და 2009 წლებისთვის ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი სექტორის საერთო დაფინანსება ზრდადია. მიუხედავად იმისა, რომ თბილისისა და რეგიონის ორგანიზაციების საერთო ჯამურ შემოსავლებს შორის სხვაობა დიდია (ჭარბობს თბილისში), შემოსავლის საერთო მოცულობის მიხედვით ორივე ჯგუფში შეინიშნება ზრდის ტენდენცია. სავარაუდოდ, ეს განპირობებულია იმით, რომ გაიზარდა დონორი ორგანიზაციების (ეკო-როკომისია, ლია საზოგადოება -- საქართველო და ა.შ.) მიერ გაცემული გრანტების მოცულობის ქვედა ზღვრები, საგრანტო თანხები გამსხვილდა.

ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა გამოკითხული ორგანიზაციების მეხუთედი, აქედან მომსახურების გაყიდვას 91,8%, საქონლის გაყიდვას 26,5% და უძრავი ქონების გაქირავებას (16,3%). ძირითადად ორგანიზაციები ეკონომიკურ საქმიანობას ორგანიზაციის ფარგლებში ეწევიან, ცალკე საწარმო მხოლოდ 24 %-ს აქვს დაფუძნებული.

იმ ორგანიზაციების, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, მიღებული ჯამური შემოსავლის წილი წლიურ შემოსავალში დაახლოებით 12 %-ს შეადგენს (12,1% - თბილისის ორგანიზაციებისათვის, 12,3% - რეგიონის ორგანიზაციებისათვის), თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცულობით თბილისის ორგანიზაციების შემოსავალი 2,5-ჯერ აღემატება რეგიონებისას (თბილისში 2 759 906 აშშ დოლარი, რეგიონებში - 1 075 261 აშშ დოლარი), ანუ საქართველოს მასშტაბით საზოგაოდებრივი ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული საშუალო წლიური შემოსავლის 72% მოდის თბილისის ორგანიზაციებზე და 28%-რეგიონის ორგანიზაციებზე.

2005 წელთან შედარებით გაუმჯობესდა ორგანიზაციების ტექნიკური ალტურვილობა, ორგანიზაციებისთვის პრაქტიკულად აღარ წარმოადგენს პრობლემას ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.

გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი კვლავ ქირაობს საოფისე ფართს. საკუთრებაში საოფისე ფართი აქვთ ორგანიზაციების მეოთხედზე მეტს (27,9%), ამ მაჩვენებელმა მცირედით იმატა 2005 წელთან შედარებით.

ორგანიზაციების დაახლოებით მესამედს როგორც თბილისში, ისე რეგიონებში არ ჰყავს მუდმივანზღვაურებადი თანამშრომლები, მოხალისეები არ ჰყავს თბილისის ორგანიზაციების თითქმის ნახევარს და რეგიონის ორგანიზაციების მესამედზე მეტს. კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა ისევე, როგორც 2005 წელს კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება, განსაკუთრებით რეგიონებში.

საზოგადოებრივ სექტორს ჯერ კიდევ საკმაოდ მნირი გამოცდილება აქვს ბიზნესთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ორგანიზაციები არ/ვერ თანამშრომლობენ ბიზნესსექტორთან. თუ რამე სახის ურთიერთობა მაინც არსებობს ამ ორ სექტორს შორის, შედარებით ხშირია ბიზნეს სექტორისთვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზების შემთხვევები. სამწუხაროდ, 2010 წლის მონაცე-

მებით, ბიზნესისთვის სერვისის მიწოდების შემთხვევები 2005 წლის მონაცემებთან შედარებით, შემცირდა (22,5%-დან 15,8%-მდე).

2010 წლის მონაცემებით, ყველაზე ხშირად საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ხელისუფლებასთან ურთიერთობა ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების მიზნით აქვთ. 2005 წლითან შედარებით გაიზარდა სახელმწიფო სტრუქტურებთან ინფორმაციის მიწოდებისა და გამოთხოვის შემთხვევები. ერთობლივი პროექტების მაჩვენებელი პრაქტიკულად არ შეცვლილა, თუმცა მცირედით გაიზარდა ხელისუფლების მიერ პროექტის დაფინანსების მაჩვენებელი, რასაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროების მონაცემებიც ადასტურებს.

2010 წელს შედარებით გაუმჯობესდა სურათი პროცედურების ფორმალიზაციის, კერძოდ, საქმიანობის დაგეგმვის თვალსაზრისით. თუმცა ისევ და ისევ სექტორი საკმაოდ სუსტია საკუთარი საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით. საქმიანობის გრძელვადიან ეფექტს აფასებს ორგანიზაციათა მხოლოდ 13%. მათგან შემთხვევების ნახევარში შეფასების ინიციატორი არის დონორი, ხოლო დანარჩენში - ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 2010 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ სექტორისთვის დღესდღეობით პრიორიტეტულია სამოქალაქო განათლება, უფლებების დაცვა, სოციალური კეთილდღეობა, ხოლო მიზნობრივი ჯგუფების თვალსაზრისით ყურადღება განსაკუთრებულად მახვილდება ახალგაზრდობაზე, ბავშვებზე, სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე, ქალებსა და დევნილებზე.

რაც შეეხება სექტორის მიერ სხვადასხვა მომხმარებლისათვის მიწოდებულ მომსახურებას, ორგანიზაციების უმეტესობა დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის სასწავლო კურსებს - მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერის, უცხო ენების შემსწავლელ კურსებს; ტრენინგს კონსულტირებას - ორგანიზაციული განვითარების, პერსონალური უნარ-ჩვევების, ბიზნესის დაგეგმვისა და განვითარების სფეროში; მედია (რეკლამა, ვიდეოპროდუქცია, გადაცემა, საეთერო დრო, ვებსივრცის გაქირავება) და სხვა ტიპის პროდუქციის დამზადებას/გავრცელებას - მათ შორის: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა; წიგნების, პუბლიკაციების გაყიდვა; კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებთან (შშმპ, უმწეო, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა) მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მომსახურებაში ასევე შედის დღის ცენტრები, რომლებიც უმეტესად სახელმწიფო თანადაფინანსებით არსებობენ.

2010 წლის გამოკითხვაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ყველაზე მნვავე პრობლემებს შორის დასახელდა დაფინანსების პრობლემა, სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის, ადამიანური და სხვა რესურსების დეფიციტის, მოსახლეობის ინერტულობის, დაბალი ცნობიერებისა და არსებული საოპერაციო გარემოს პრობლემები.

1. კვლევის მიმოხილვა და მეთოდოლოგია

1.1. პრობლემის დასაბუთება

საქართველოში სამოქალაქო სექტორი სტაბილურად ვითარდება გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან. რეგისტრირებული ორგანიზაციების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მხოლოდ ქალალდზე არსებობს. საქართველოს მასშტაბით რეალურად ქმედითი და აქტიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაოდენობა სრულიად განსხვავებულია.

უკანასკნელ პერიოდში მრავალ ქვეყანაში საზოგადოებრივი სექტორის როლის აღიარება სოციალურ და დემოკრატიულ პროცესებში სულ უფრო მეტად იზრდება და ამ აღიარებას მნიშვნელოვნად უნდობს ხელს საზოგადოებრივი სექტორის კვლევა.

ჯერ კიდევ 3-4 წლის წინ საქართველოში სექტორის განვითარებას მკვეთრად დადებით შეფასებას აძლევდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და მიიჩნევდნენ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად. თავად საქართველოში კი საზოგადოებრივი სექტორის როლი, შეიძლება ითქვას, მოსახლეობასა და ხელისუფლებას სათანადოდ არ აქვს გაცნობიერებული.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში ქართული საზოგადოებრივი სექტორი მრავალი სირთულის წინაშე დადგა, რომელთაგან თავად სექტორი ყველაზე მეტად ფინანსურ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. აშშ-ს განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მდგრადობის ყოველწლიური კვლევის მონაცემების მიხედვით, საქართველოში ეს მონაცემი 2004 წლიდან უარესდება. ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლის კლებამ 2008 წელს 5,3 ნიშნულს მიაღწია, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია 2001 წლის შემდგომ. ამ მდგომარეობას ნაწილობრივ ხსნის ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში მრავალმა ორგანიზაციამ დაასრულა პროგრამები საქართველოში (Cordaid, DFID), ხოლო ზოგიერთმა მათგანმა მკვეთრად შეცვალა დაფინანსების პოლიტიკა. საქართველოს საზოგადოებრივი სექტორი, რომლის ფინანსური უზრუნველყოფის ძირითადი წყარო საერთაშორისო დონორები იყვნენ, არ აღმოჩნდა მზად მსგავსი ცვლილებებისათვის, ამასთანავე, ადგილობრივი გარემოც ნაკლებად იძლევა შესაძლებლობას დაფინანსების აღტერნატიული წყაროების მოსაპოვებლად.

განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რეგიონული ორგანიზაციები, რომელთაგან ბევრმა ვერ გადალახა ფინანსური სირთულეები და ამის გამო ან მკვეთრად შეამცირა საქმიანობის მასშტაბი, ან სრულიად შენცვიტა ფუნქციონირება.

შესაბამისად, საჭირო გახდა 2005 წლის კომპლექსური კვლევის მონაცემების განახლება.

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანი იყო:

- საქართველოში (დედაქალაქსა და რაიონებში) მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესანავლა, მათი განვითარების დონის შეფასება;
- 2005-2009 წლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ტენდენციების განსაზღვრა;
- იმ ძირითადი გამოწვევების გამოვლენა, რომელთა წინაშე დგას საზოგადოებრივი სექტორი საქართველოში.

ამ მიზნის მისაღწევად:

- რაოდენობრივად და თვისობრივად შეფასდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარება, გაანალიზდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის სფეროები;
- სექტორის განვითარების დონის შედეგები შედარდა 2005 წლის კვლევის შედეგებთან;
- გაანალიზდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე მდგომი ძირითადი პრობლემები;
- შეფასდა სექტორის ფინანსური მდგრადობის ასპექტები;
- შეფასდა ორგანიზაციების სოციალური მენარმეობის განვითარების პოტენციალი;
- შეფასდა სოფლად სათემო ორგანიზაციების განვითარების მდგომარეობა;

1.3 კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია მაქსიმალურად ითვალისწინებს 2002-2005 წლებში განხორციელებული კვლევის საშუალებებსა და წესებს და ამდიდრებს მას დღეისათვის განსაკუთრებულად აქტუალური საკითხების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციით.

2005 წლის კვლევასთან შედარებით უფრო დეტალურად იქნა შესწავლილი შემდეგი საკითხები:

- ა) სექტორის ფინანსური მდგრადობის კომპონენტი.
 - გაანალიზდა დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნება და ადგილობრივი წყაროებიდან მოძიებული დაფინანსების წილი;
 - ყურადღება დაეთმო ეკონომიკური საქმიანობის/სოციალური მენარმეობის მაგალითებსა და მათი შემდგომი განვითარების შესაძლებლობების შესწავლას;
- ბ) შეფასდა სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებელი (მუდმივი და დროებითი კადრები და მოხალისეები);
- გ) გამოკვლეული იქნა საქმიანობის შეფასების სისტემები და ის ძირითადი მიღწევები, რომლებიც ორგანიზაციებს საკუთარ მონაბოვრად მიაჩნიათ.

გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდით.

ძირითად გამოკითხა შერჩეული ორგანიზაციების ხელმძღვანელი / გადაწყვეტილების მიმღები პირები. დაკვირვების საშუალებით დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით გამოკითხვა ჩატარდა თავად ამ ორგანიზაციების/არარეგისტრირებული ჯგუფების ოფისებში / შეკრების ადგილებში.

კვლევა ჩატარდა 2002-2005 წლებში ჩატარებული კვლევისათვის გამოყენებული კითხვარით (დაემატა 34 შეკითხვა, სულ 96 კითხვა). ამის გარდა, შემუშავდა მოდიფიცირებული ანკეტა სათემო ორგანიზაციებისთვის (72 კითხვა), ხოლო იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მისდევნენ სოციალურ მენარმეობას/ეკონომიკურ საქმიანობას, შემუშავდა დამატებითი კითხვების ბლოკი (29 კითხვა).

ანკეტა იმგვარადაა შედგენილი, რომ შესაძლებელია ორგანიზაციული განვითარების დონის შეფასება 4-ქულიან სკალაზე შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. საქმიანობის სფერო, გამოცდილება
2. გარე ურთიერთობები
3. სტრუქტურული განვითარება
4. ოპერაციული პროცესები
5. მისია და სტრატეგია
6. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

7. ადამიანური რესურსები და მათი მართვა
- ა. საზოგადოებრივ სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსის რაოდენობრივი შეფასება, კერძოდ:
 - მუდმივი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
 - დროებითი სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ბ. მოხალისეობრივი რესურსების გამოყენება.
8. ფინანსური რესურსები

კრიტერიუმების და შესაბამისი ქვეკრიტერიუმების დეტალური აღწერა მოცემულია დანართში №1.

განვითარების მარტივი ფორმის გამო კრიტერიუმების გამოყენება სათემო ჯგუფების განვითარების დონისა და პოტენციალის შესაფასებლად მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული.

სოფლის სათემო ორგანიზაციების შეფასებისას კვლევაში ყურადღება დაეთმო მათი საქმიანობის სტაბილურობას, ორგანიზებას საქმიანობის მასშტაბის შესაბამისად, თემის მოსახლეობისათვის მიწოდებულ სერვისს.

1.3.1 ორგანიზაციების შერჩევა (შერჩევის ზომა და კრიტერიუმები, შერჩევის პაზა)

კვლევის შერჩევის ობიექტებს წარმოადგენენ თბილისა და საქართველოს რეგიონებში (აჭარა, გურია, კახეთი, რაჭა, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო) მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სათემო ჯგუფები (რეგისტრირებული და არარეგისტრირებული).

კვლევამ მოიცვა საქართველოს დედაქალაქი და 9 რეგიონი. ცხრილში მოცემულია კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების რაოდენობები რეგიონების მიხედვით.

ცხრილი № 1 გამოკითხული ორგანიზაციების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

ადგილმდებარება	გამოკითხულთა რაოდენობა	
	კავშირი	სათემო ორგანიზაციები
თბილისი	94	
აჭარა	19	
გურია	8	6
კახეთი	16	16
რაჭა-ლეჩხუმი	2	6
სამცხე-ჯავახეთი	35	7
იმერეთი	13	
შიდა ქართლი	17	1
ქვემო ქართლი	14	7
სამეგრელო	22	4
სულ	240	47

სოფლის სათემო ჯგუფების შეფასების მიზნით გამოკითხა როგორც რეგისტრირებული, ისე არარეგისტრირებული ორგანიზაციები, რომლებიც რაიმე კონკრეტულ საქმიანობას ეწევიან.

მიმდინარე კვლევისათვის ისევე, როგორც 2002-2005 წლებში განხორციელებული კვლევის დროს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემთხვევითი შერჩევის მეთოდი მიზანშენონილად არ იქნა მიჩნეული, რადგან რეგისტრირებული ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი (90%) მხოლოდ სარეგისტრაციო დოკუმენტზე არსებობს.

დედაქალაქსა და რაიონულ ცენტრებში ორგანიზაციები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ორგანიზაცია მოქმედია (ეწევა გარკვეულ საქმიანობას);
- უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მიღებული აქვს დაფინანსება.

- სოფლის სათემო ჯგუფების¹ შესარჩევად გამოყენებული იქნა შემდეგი კრიტერიუმები:
- ორგანიზაცია / ჯგუფი მოქმედია და რეგულარულად ახორციელებს საქმიანობას თემში;
 - ორგანიზაციას / ჯგუფს აქვს ორგანიზებული ფორმა - გააჩნია თავშეყრის ადგილი, ლიდერი პირი/პირები, სხვა აქტიური წევრები.

2002-2005 წლებში გამოსაკვლევად შეირჩა 195 ორგანიზაცია. მიმდინარე კვლევაში ორგანიზაციათა რაოდენობა გაიზარდა 240-მდე და მათ ასევე დაემატა 47 სათემო ჯგუფი (მათ შორის რამდენიმე ფერმერული კავშირი). შერჩევის საერთო მოცულობამ 287 ორგანიზაცია შეადგინა. მათგან 2005 წლის კვლევაში მონაწილეობდა 74 ორგანიზაცია (40 %). მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის კვლევის ძირითად ამოცანას არ წარმოადგენდა შერჩევის ზუსტი დუბლირება და ბოლო ორი წლის განმავლობაში შერჩევის ძირითად კრიტერიუმად ფუნქციონირება იყო აღებული, შერჩევის ჩატარების პროცესში მკვლევართა ჯგუფი დაუკავშირდა 2005 წლის გამოკითხვაში მონაწილე თითქმის ყველა ორგანიზაციას.

2010 წლის შერჩევიდან ჯგუფმა ამოილო ის ორგანიზაციები, რომლებსაც 2 წლის განმავლობაში არ ჰქონდა დაფინანსება და/ან რაიმე მიზეზით შეწყვიტა ფუნქციონირება/შეიცვალა, გადაკეთდა შპს-დ). გარდა ამისა, რამდენიმე ორგანიზაციასთან ინტერვიუს ჩატარება ვერ მოხერხდა ხელმძღვანელების/ გადაწყვეტილების მიმღები პირების ადგილზე არყოფნის ან კვლევაში მონაწილეობის სურვილის არქონის გამო.

კვლევაში მოყვანილი შედარებები ორგანიზაციების დონეების მიხედვით მოცემულია მხოლოდ იმ ორგანიზაციების მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც 2005 წ.-ის, ასევე 2010 წლის გამოკითხვებში. 2010 წლის შერჩევით გამოკითხული ორგანიზაციების რაოდენობა აღემატება 2005 წ.-ის შერჩევას. 2010 წლის შერჩევის ბაზად, გარდა 2005 წლის კვლევაში² მონაწილე ორგანიზაციების ბაზისა, გამოყენებული იქნა შემდეგი წყაროები:

- საერთაშორისო / დონორი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზები პარტნიორი და გრანტის მიმღები ორგანიზაციების შესახებ (ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველო“; ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, ევროკომისია)
- საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზები.

1.3.2 მონაცემთა შეგროვებისა და შეფასების პროცესი

კვლევა 2009-10 წლის დეკემბერ – მარტში ჩატარდა. შერჩეული ორგანიზაციის შესახებ მონაცემები და ცნობები შეგროვდა ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელ პირთან ინტერვიუს (პირისპირ გასაუბრება) მეშვეობით. ორგანიზაციათა შეფასებისას სუბიექტურობის თავიდან ასაცილებლად, ქვეკრიტერიუმების მიხედვით, თითოეულ ორგანიზაციას სულ მცირე 2 მკვლევარი აფასებდა.

ორგანიზაციები 29 ქვეკრიტერიუმის მიხედვით 4-ქულიან სკალაზე შეფასდა, რომელზეც 1 არის მინიმალური შეფასება, ხოლო 4 – მაქსიმალური. თითოეული ქვეკრიტერიუმისთვის განისაზღვრა შეფასების კონკრეტული შინაარსი, მაგ.,

ქვეკრიტერიუმი:

ბიუჯეტის საშუალო მოცულობა ბოლო 3 წლის განმავლობაში რანგი

1	2	3	4
არ აქვთ ან 5,000\$-მდე	50,000\$-მდე	100,000\$-მდე	100,000\$ -ზე მეტი

თითოეული კრიტერიუმის ქულა მისი ქვეკრიტერიუმების ქულების საშუალო ქულას წარმოადგენს. ინსტიტუციონალური განვითარების საერთო ქულა კი რვა კრიტერიუმის საშუალო ქულაა. შესაბამისად, თითოეული ორგანიზაციის საერთო ქულაც 1-დან 4-ის ფარგლებში მერყეობს.

1. სათემო ჯგუფი/კავშირი არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია (რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული), რომელიც იქმნება საერთო ინტერესების მქონე ადამიანების მიერ და მისი საქმიანობის არეალი შეიოზღუდულია მცირე ტერიტორიით (ძირითადად, სოფელი). უმეტეს შემთხვევაში, ეს არიან სოფლის მცხოვრებნი, რომლებსაც აერთიანებთ სოფლის ან სამზობლოს საერთო პრობლემების მოგვარების ან არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი. სათემო კავშირები შეიძლება იყოს რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული
2. საქართველოს გაერთო ასოციაციისა და სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ 2002-2005 წლებში არასამთავრობო/საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების შესახებ კვლევის ფარგლებში შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა

1.3.3 ორგანიზაციული განვითარების ჯგუფების დადგენა

გამოკითხული ორგანიზაციების ინსტიტუციონალური განვითარების შეფასების ქულებზე დაყრდნობით განისაზღვრა განვითარების ოთხი დონე (ჯგუფი). I ჯგუფის ორგანიზაციები ინსტიტუციონალური განვითარების უმაღლეს დონეს განეკუთვნებიან, ხოლო IV ჯგუფისა კი – უმდაბლესს. (დონეების მიხედვით ორგანიზაციების ზოგადი დახასიათება იხ. დანართში № 2).

ჯგუფები გამოიყო შემდეგნაირად: გაანგარიშების შედეგად მინიმალური შესაძლო ქულა, რომელიც შეიძლებოდა ორგანიზაციას მიეღო, იყო 1, ხოლო მაქსიმალური – 4. მათ შორის სხვაობა გაიყო $4-ზე [(max-min)/4=3/4=0.75]$, რაც მიჩნეული იქნა ჯგუფებს შორის გამყოფ ქულად. ილუსტრაციისათვის იხილეთ შემდეგი ცხრილი:

ცხრილი № 2 საერთო ქულების საფუძველზე ინსტიტუციონალური განვითარების ჯგუფებისათვის ორგანიზაციების მიკუთვნება

IV ჯგუფი	III ჯგუფი	II ჯგუფი	I ჯგუფი
1-დან 1.76 მდე	1.76-დან 2.5-მდე	2.5-დან 3.26-მდე	3.26-დან 4-ის ჩათვლით

1.3.4 მონაცემთა დამუშავება და შედეგების გადმოცემა

სამოქალაქო სექტორის განვითარება შეფასდა ყველა იმ კრიტერიუმის მიხედვით, რომელიც გამოყენებული იყო **2002-2005** წლების კვლევებში. შედეგად შესაძლებელი გახდა სექტორის განვითარების ტენდენციების შეფასება **2005** წლის მონაცემებთან შედარებით.

კვლევის ანგარიშში შედეგები წარმოჩნდია როგორც კრიტერიუმების საფუძველზე მიღებული საერთო შეფასებების მიხედვით, ასევე თითოეული ქვეკრიტერიუმის მიხედვით. ერთმანეთს შეუდარდა თბილისისა და რეგიონების ორგანიზაციების მონაცემები.

2002-2005 წლებში ჩატარებული კვლევის ფარგლებში ორგანიზაციების განვითარების დონის შეფასების კრიტერიუმებს წონა (მნიშვნელობა) მიენიჭა ექსპერტთა მიერ მათი მნიშვნელოვნების შეფასების მიხედვით. ამავე პრინციპით კრიტერიუმები გადაისინჯა მიმდინარე კვლევაშიც.

გამოკითხვის მონაცემების სტატისტიკური ანალიზისთვის გამოყენებული იყო პროგრამა **SPSS**.

შედეგები გადმოცემულია როგორც ამა თუ იმ კრიტერიუმში მიღებული საერთო შეფასებების, ასევე თითოეული ქვეკრიტერიუმის მიხედვით. დედაქალაქის ორგანიზაციების შედეგები შედარებულია რეგიონის ორგანიზაციებთან. აგრეთვე თითოეული რეგიონისა და თბილისის ორგანიზაციების მონაცემები შედარებულია ერთმანეთთან. გარდა ამისა, ცვლილების დინამიკის გამოვლების მიზნით **2005** და **2010** წლების შედეგები შედარებულია ერთმანეთთან.

გამოკითხული ორგანიზაციებისათვის მიზნებული ქულების საფუძველზე ინფორმაციის გადმოცემისას გათვალისწინებულია ანონიმურობის პრინციპი.


აქვე მოგვყავს ზოგიერთი განმარტება დიაგრამებთან დაკავშირებით. ანგარიშში მოცემულია ორი ტიპის დიაგრამა – სვეტებიანი დიაგრამა, რომელზედაც თითოეულ სვეტს შეესაბამება ორგანიზაციათა პროცენტული წილი და ჰისტოგრამა. ეს უკანასკნელი გამოსახავს ინტერვალების სკალაზე გაზომილი ცვლადის განაწილებას, მოცემულ შემთხვევაში, ორგანიზაციების მიერ ამა თუ იმ კრიტერიუმში მიღებული ქულების განაწილებას. ამ ტიპის დიაგრამა თვალსაჩინოდ ასახავს ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლის საშუალო მაჩვენებელს, რამდენად განსხვავდებიან საშუალოდან ჯგუფის წევრები, როგორია მაქსიმალური და მინიმალური ქულები. ჰისტოგრამებს თან ახლავს ორი სტატისტიკური სიდიდე: **Mean** – საშუალო ქულა ჯგუფში და **Stand. Dev.** – საშუალოდან სტანდარტული გადახრა. ეს უკანასკნელი სიდიდე, რაც უფრო დიდია, მით უფრო არაერთგვაროვანია ჯგუფი ამ ნიშნის მიხედვით, ანუ მით უფრო განსხვავდებიან ჯგუფის წევრები საშუალო მაჩვენებლისგან. **N** სიმბოლო კი აღნიშნავს ორგანიზაციების რაოდენობას.

მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების პროცესში დადგინდა სხვადასხვა მაჩვენებელს შორის კავშირის სიძლიერე (კორელაცია). ანგარიშში მითითებულია ის შემთხვევები, როცა ასეთი კავშირის არსებობა სტატისტიკურად სანდო იყო. ამის საილუსტრაციოდ ფრჩხილებში მითითებულია მნიშვნელობის დონე – **Sig.** თუ ეს მაჩვენებელი არის $0.05-ზე$ ნაკლები, კავშირის არსებობა სტატისტიკურად სანდოა.

2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების შეფასება ინსტიტუციონალური განვითარების დონეების მიხედვით

2005 წელს ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა 184 ორგანიზაცია, მათგან მიმდინარე კვლევაში მონაწილეობა მიიღო 74 -მა (40,2%). გაზრდილია ორივე კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების თითქმის ორი მესამედის (62,2%) ინსტიტუციონალური განვითარების საერთო ქულა. დაახლოებით მეოთხედის (25,7%) ქულა არ შეცვლილა, შემცირდა მხოლოდ მცირე ნაწილის (12,2%) ინსტიტუციური განვითარების ქულა. ამ მონაცემებით შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ ორგანიზაციების დიდი ნაწილი, რომლებმაც 2005 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში მოახერხეს ორგანიზაციის შენარჩუნება, განაგრძობენ ინსტიტუციურ განვითარებას.

დიაგრამა №1. 2005 წლის კვლევაში მონაწილეთა ორგანიზაციული განვითარების ქულის ცვლილება 2005-2010 წლებში




საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

I დონის უკლებლივ ყველა ორგანიზაციას მოემატა ქულა, ასევე მოემატა ქულები II დონის ორგანიზაციების ნახევარზე მეტს, მესამედზე მეტმა კი იგივე ქულა მიიღო. შემცირებული ქულები აქვთ ყველაზე მეტად III დონის ორგანიზაციებს. 2005 წლის კვლევაში მონაწილე IV დონის ორგანიზაციებისგან მხოლოდ 5 -ის მოძებნა მოხერხდა 2010 წლის კვლევაში. გაირკვა, რომ ისინი ინსტიტუციურად მნიშვნელოვნად არ განვითარებულან. მათგან 2 ორგანიზაციის ქულა პრაქტიკულად იგივე დარჩა, ხოლო 3 ორგანიზაციის ქულა კიდევ უფრო შემცირდა.

გამოკითხულთაგან ყველაზე დიდი ჯგუფია (35%) ინსტიტუციური განვითარების II დონეზე მყოფი ორგანიზაციები, ყველაზე მცირერიცხოვანი კი – I დონის ორგანიზაციებია (15.4%). მათი უმრავლესობა თბილისშია თავმოყრილი.

აღსანიშნავია, რომ შერჩევაში მოხვედრილი მეოთხე დონის ორგანიზაციების სიმცირე რეალურად არ ასახავს გენერალურ ერთობლიობაში ამ ტიპის ორგანიზაციების სიმცირეს. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის სამიზნე ობიექტი იყო ის ორგანიზაციები, რომლებსაც ბოლო 2 წლის განმავლობაში განხორციელებული აქვთ რაიმე პროექტი, ჩვენს შერჩევაში იმთავითვე მაქსიმალურად გაიცხრილა მეოთხე დონის ორგანიზაციები. რაც შეეხება რეგიონების პირველი დონის ორგანიზაციებს, შეგვიძლია დიდი ალბათობით დავადასტუროთ, რომ კვლევაში მოხვდა თითქმის ყველა განვითარებული ორგანიზაცია (I და II დონე). თბილისის შემთხვევაში ჩვენი ამოცანა არ იყო განვითარებული ორგანიზაციების გენერალური ერთობლიობის გამოკითხვა, თუმცა შერჩევის მოცულობა სავსებით საკმარისია საკვლევი საკითხების შესახებ სანდო დასკვნების გასაკეთებლად.


დიაგრამა №2 ორგანიზაციების განაწილება ინსტიტუციური განვითრების დონეების მიხედვით




რეგიონის ორგანიზაციებისგან ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენს მესამე დონეზე მყოფი ორგანიზაციები (41%), ყველაზე მცირე ჯგუფი კი – პირველი დონისა (5,6%).

პირველი დონის ორგანიზაციებისგან ყველაზე „ახალგაზრდა“ 2005 წელს დაარსებული ორგანიზაცია. მას შემდეგ დაარსებულთაგან არც ერთი არ აღმოჩნდა ორგანიზაციული განვითარების I დონეზე.

დიაგრამა №3. ორგანიზაციათა განაწილება ინსტიტუციონალური განვითარების ჯგუფების მიხედვით
(თბილისი, რეგიონები, 2010)




დიაგრამა №4. I დონის ორგანიზაციების განაწილება დაარსების წლის მიხედვით




საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

დიაგრამა № 5. ორგანიზაციების განაწილება ინსტიტუციონალური განვითარების ჯგუფების მიხედვით, 2005 და 2010 წლები



2005 წლის კვლევის მონაცემებისგან განსხვავებით, მიმდინარე კვლევაში ყველაზე დიდი ჯგუფია II დონის ორგანიზაციები, შედარებით იკლო პირველი დონის ორგანიზაციების პროცენტულმა მაჩვენებელმა.

დიაგრამა 6. ორგანიზაციული განვითარების კრიტერიუმების საშუალო ქულები 2005 — 2010 წლები
დიაგრამაზე - გარეურთიერთობები უნდა იყოს: გარე ურთიერთობები (ანუ ცალ-ცალკე დაწერილი)



ორგანიზაციული განვითარების კრიტერიუმების საფუძველზე გამოკითხულმა ორგანიზაციებმა ყველაზე მაღალი შეფასება მიიღეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით, ხოლო ყველაზე დაბალი ქულა – ადამიანური რესურსების მიხედვით.

კრიტერიუმების მიხედვით, 2005 წელთან შედარებით გაიზარდა მისია/სტრატეგიის მაჩვენებლის საშუალო ქულა, ხოლო შემცირდა ადამიანური რესურსების მაჩვენებლის ქულა.

3. კვლევის შედეგების აღწერა (ორგანიზაციების დახასიათება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით)

3.1 კრიტერიუმი - მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და გამოცდილება


ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 2,53 (2005 წ) 2,46 (2010 წ)
ძირითადი შედეგები

- გამოკითხული ორგანიზაციების საშუალო მაჩვენებელი საქმიანობისა და გამოცდილების კრიტერიუმით უმნიშვნელოდ შემცირდა;
- 2005-2009 წლების განმავლობაში ორგანიზაციების მიერ დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა 2002-2005 წლებთან შედარებით გაიზარდა. ასევე გაიზარდა სხვა წყაროებით (ბიზნესი, სახელმწიფო) განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა.
- მნიშვნელოვანია განსხვავება თბილისისა და რეგიონების ორგანიზაციების მიერ დონორების დახმარებით განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობებს შორის. თბილისის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა თითქმის 2,5-ჯერ აღემატება რეგიონების ორგანიზაციების იმავე მაჩვენებელს.
- 2010 წლის კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობის საქმიანობა სცილდება რაიონის/ქალაქის ფარგლებს. მაჩვენებელმა ამ კუთხით 2005 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ მოიმატა. 2005 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ორგანიზაციების რიცხვი (11%-ით).
- 2005 წელს 2002 წელთან შედარებით შემცირდა ფილიალების მქონე ორგანიზაციათა რიცხვი; 2010 წლის მონაცემებით ფილიალების მქონე ორგანიზაციების რაოდენობამ უმნიშვნელოდ მოიმატა (2%-ით), თუმცა კვლავ შემცირებული რჩება 2002 წლის მონაცემებთან შედარებით.
- სსო-ების უმრავლესობის სამიზნე ჯგუფს ისევე, როგორც 2005 წელს, ახალგაზრდობა და სოციალურად დაუცველი ფენები წარმოადგენენ; 2010 წლის მონაცემებით, ამ ჯგუფებს ასევე დაემატენენ ბავშვები, ქალები და დევნილები.
- ორგანიზაციათა ყველაზე გავრცელებული საქმიანობის სფეროები 2005 წლის მონაცემებით იყო ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, ბავშვთა და მოზარდთა საკითხები და დემოკრატიის ხელშეწყობა. 2010 წლისთვის სექტორის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს განათლება, სამოქალაქო განათლება, სოციალური კეთილდღეობა. უფლებების დაცვა კვლავინდებურად ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.


მონაცემთა აღწერა

საქმიანობისა და გამოცდილების კრიტერიუმის მიხედვით, გამოკითხული ორგანიზაციების საშუალო ქულამ 2010 წელთან უმნიშვნელოდ დაიკლო 2.53-დან 2.46-მდე. თბილისისა და რეგიონების ორგანიზაციებს შორის განსხვავება ნათლად ჩანს. დედაქალაქის ორგანიზაციათა უმრავლესობის მაჩვენებელი მოთავსებულია 2.5-დან 4-მდე დიაპაზონში, ხოლო რეგიონების ორგანიზაციების მაჩვენებელი – 2-დან 3.5-მდე დიაპაზონში, თუმცა 2005 წლის მონაცემებით ეს განსხვავება კიდევ უფრო მკვეთრი იყო.


დიაგრამა №7. ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები საქმიანობისა და გამოცდილების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წელები.



დიაგრამა №8. თბილისის ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები საქმიანობისა და გამოცდილების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წელები.




დიაგრამა №9. საქართველოს რეგიონების ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები საქმიანობისა და გამოცდილების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წელები.



თბილისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემდეგ ყველაზე მაღალი შეფასება გურიის ორგანიზაციებმა მიიღეს. 2005 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აჭარის რეგიონის ორგანიზაციებს ჰქონდა. 2010 წელს, 2005 წელთან შედარებით, ყველა რეგიონის ორგანიზაციასთან (თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის გარდა) შეინიშნება საქმიანობისა და გამოცდილების ინდექსის მცირე ზრდა.

დიაგრამა 10. ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები საქმიანობისა და გამოცდილების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ. რეგიონების მიხედვით




3.1.1. საქმიანობის გავრცელების არეალი და ფორმები

2010 წლის კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციების უმეტესობის (78,7%) საქმიანობა სცილდება რაიონის/ქალაქის ფარგლებს. გამოკითხული ორგანიზაციების თითქმის მესამედი (29,2%) საკუთარ საქმიანობას რეგიონის მასშტაბით წარმართავს. ქვეყნის ფარგლებს ორგანიზაციების 26,7% მოიცავს (ამ კუთხით 2005 წელთან შედარებით მონაცემი გაიზარდა (11%-ით). ორგანიზაციების მეთედის საქმიანობა სცილდება ქვეყნის ფარგლებს).

რაც შეეხება ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის გავრცელების პრობირებულ ფორმებს, ყველაზე ხშირად დასახელებულ კატეგორიებში მოხვდა ორგანიზაციების წარმომადგენლების ვიზიტები (52,3%) და ადგილზე საკონტაქტო პირების დახმარება (43,9%).

პარტნიორი ორგანიზაციების საშუალებით საქმიანობის გავრცელებას 30,5% ახერხებს, ხოლო ფილიალები მხოლოდ 18%-ს გააჩნია. 2005 წლის მონაცემებით, პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით საკუთარ საქმიანობას გამოკითხული ორგანიზაციების 48% ავრცელებდა, ხოლო ფილიალი ჰქონდა 17 %-ს. ამ მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შედარებით შემცირებულია პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით საქმიანობის გავრცელების ფორმის გამოყენება.

დიაგრამა №11. ორგანიზაციების საქმიანობის გავრცელების არეალი



ცხრილი № 3 ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის გავრცელების ფორმები

საქმიანობის გავრცელების ფორმები	2010 %	2005 %
ფილიალები	18,0	17
საკონტაქტო პირები	43,9	51
პარტნიორი ორგანიზაციები	30,5	48
ორგანიზაციის წარმომადგენლების ვიზიტებით	52,3	61

3.1.2. საქმიანობის სფერო


ისევე, როგორც 2002-2005 წლების გამოკითხვა, მიმდინარე კვლევაც ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა კვლავ საკმაოდ მრავალფეროვანია. 2010 წლის მონაცემები გვიჩვენებს, რომ სექტორისთვის დღესდღეობით პრიორიტეტულია განათლება (58,2%), სამოქალაქო განათლება (57,3%), უფლებების დაცვა (44,4%), სოციალური კეთილდღეობა (41,4). 2005 წლის მონაცემებით, ორგანიზაციათა ყველაზე გავრცელებული საქმიანობის სფეროები იყო: ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, ბავშვთა და მოზარდთა საკითხები და დემოკრატიის ხელშეწყობა.

გარდა ჩამოთვლილი სფეროებისა, 2010 წლის გამოკითხვისას ორგანიზაციების მიერ კატეგორიაში „სხვა“ დასახელდა შემდეგი მიმართულებები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა
- სოფლის მეურნეობა და ორგანული სოფლის მეურნეობა
- მედია
- ტურიზმი
- სოფლის ტურიზმის განვითარება
- გენდერული თანასწორობა
- კონფლიქტების მოგვარება / სამშვიდობო პროცესები
- დევნილთა ინტეგრაცია

- ეფექტური სახელმწიფო მმართველობა
- შშმპ -თა ინტეგრაციის ხელშეწყობა
- ოჯახური ძალადობა
- ადამიანის უსაფრთხოება
- ენერგეტიკა
- ტოლერანტობის ხელშეწყობა
- საქველმოქმედო საქმიანობა
- ამომრჩეველთა განათლება
- უმცირესობების საკითხები
- კორუფციასთან ბრძოლა

დიაგრამა №12. ორგანიზაციათა საქმიანობის სფეროები



3.1.3 საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამიზნე ჯგუფები

ორგანიზაციების უმრავლესობას ჰყავს სამიზნე ჯგუფები, თუმცა იშვიათია ისეთი ორგანიზაციები (15%), რომლებიც მხოლოდ ერთ სამიზნე ჯგუფთან მუშაობენ. ორგანიზაციათა ნახევარი მუშაობს ორ-ხუთ სამიზნე ჯგუფთან.


ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდების(51,7%), ბავშვების (42,9%), სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (42,1%), ქალებისა (37,1%) და დევნილების (34,6%) სამიზნე ჯგუფებს.

- გამოკითხულთა მცირე ნაწილი მუშაობს აგრეთვე სპეციფიკურ / ვიწრო ჯგუფებთან, კერძოდ, ესენია:
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები
 - თემის აქტიური ნაწილი
 - ბუფერულ ზონაში მცხოვრები ქალები
 - ნარკომანები
 - მედიცინის მუშაკები
 - პედაგოგები / უმაღლესი სკოლის პედაგოგები
 - სკოლის თანამშრომლები / სამეურვეო საბჭოები
 - მედია / ჟურნალისტები

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

- თვითმმართველობა, სახელმწიფო მოხელეები / სახ. სტრუქტურები /სსიპ
- სექსუალური უმცირესობები
- ეკომიგრანტები
- მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობა
- აივინფიცირებული
- თევზის მეურნეობაში ჩართული პირები
- წამების მსხვერპლი პატიმრები
- მესხები
- ბიზნესორგანიზაციების ბუღალტრები და აუდიტორები
- ბანკები
- ორგანული სოფლის მეურნეობით დაკავებული პირები
- რუსულენოვანი მოსახლეობა
- კომერციული სექსმუშაკები
- ქუჩის ბავშვები
- მუზეუმების თანამშრომლები
- ტურიზმის სფეროს მუშაკები
- მომსახურების სფეროს წარმომადგენლები
- კულტურით და ვიზუალური ხელოვნებით დაინტერესებული პირები
- მცირე და საშუალო მოცულობის ბიზნესორგანიზაციები
- ქალთა ორგანიზაციები
- პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციები
- ტრანსფიზიოლოგიური კლინიკები


დიაგრამა №13. ორგანიზაციათა სამიზნე ჯგუფები



3.1.4 საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის ფორმები

საქმიანობის ფორმების თვალსაზრისით, 2010 წლის მონაცემებით, საზოგადოებრივ სექტორში ყველაზე მეტად გავრცელებულია საგანმანათლებლო საქმიანობა (77,8%), კონსულტირება (63,6%), ინფორმაციის მოგროვება, გავრცელება (61,9%), სემინარების ჩატარება (60,3%), კვლევა (56,1%).

დიაგრამა №14. საქმიანობის ფორმები



კატეგორიაში „სხვა“ დასახელდა შემდეგი სახის საქმიანობები:


- პირველადი ჯანდაცვის ორგანიზება
- ექსკურსიების ორგანიზება
- მრგვალი მაგიდა / კონფერენციები
- გამწვანების აქცია, ტყის დასუფთავება
- პოლიტიკური დოკუმენტების მომზადება
- ინტერესთა დაცვა
- კლუბების დაარსება (ახალგაზრდული)
- ბანაკები
- საჯარო პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა
- სახელმწიფო სტრუქტურების და ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა
- ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია
- სარწყავი წყლით მომარაგების ორგანიზება
- ადგილობრივი თევითმმართველობის კონსულტირება
- ინტელექტუალური თამაშების ორგანიზება
- სატელევიზიო გადაცემები, ტოქშოუები
- საქველმოქმედო კონცერტები
- საზეიმო თარიღებზე ღონისძიებების მოწყობა
- ელექტრონული ბიულეტენის გამოცემა
- დღის ცენტრის მოწყობა ინვალიდებისთვის
- პროფესიული გადამზადების კურსების ორგანიზება
- ცნობიერების ამაღლების კამპანიები (სისხლის უანგარო დონაციის პოპულარიზება...)
- ეკლესია-მონასტრების რეკონსტრუქცია
- ბავშვთა სახლის მეურვეობა
- მცირე საოჯახო-სააღმზრდელო სახლების მოწყობა / ადმინისტრირება
- მედიამონიტორინგი
- კონკურსების ჩატარება

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

- დევნილთათვის მცირე ბიზნესის განვითარება
- თემის მობილიზაცია
- ხატვის შემსწავლელი სკოლა

რაც შეეხება სექტორის მიერ სხვადასხვა მომხმარებლისათვის მიწოდებულ მომსახურებას, ორგანიზაციების უმეტესობა (**40,5%**) დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის სასწავლო კურსებს, კერძოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერის, უცხო ენების შემსწავლელ კურსებს; ტრენინგებსა და კონსულტირებას (**27%**) სხვადასხვა საქმიანობაში. ესენია: ორგანიზაციული განვითარება, პერსონალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, ბიზნესის დაგეგმვა და განვითარება, ასევე მედიისა (რეკლამა, ვიდეოპროდუქცია, გადაცემა, საეთერო დრო, ვებსივრცის გაქირავება) (**17,6%**) და სხვა ტიპის პროდუქციის დამზადება/გავრცელება (**16,2%**), მათ შორის: სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვა; წიგნების, პუბლიკაციების რეალიზაცია;

დიაგრამა №15. რა სახის სერვისს სთავაზობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები საკუთარ მომხმარებელს



3.1.5. პროექტების განხორციელების გამოცდილება (დონორების დაფინანსებით, თვითდაფინანსებით, სახელმწიფო და ბიზნესის დაფინანსებით)

2005 წელს ჩატარებული კვლევის დროს რესპონდენტებს დაუსვეს შეკითხვა 2002-2005 წლებში განხორციელებული პროექტების რაოდენობის შესახებ (4 წელი), მიმდინარე პროექტში კი – 2005-2009 წლების შესახებ (5 წელი). მონაცემების შედარების გასაიოლებლად, 2005 წლის მონაცემები გასაშუალოვდა ერთ წელზე და შემდეგ გადამრავლდა 5 წელზე. როგორც ცხრილებიდან ჩანს, 2005-2009 წლების განმავლობაში ორგანიზაციების მიერ დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა 2002-2005 წლებთან შედარებით გაიზარდა. ასევე გაიზარდა სხვა წყაროებით (ბიზნესი, სახელმწიფო) განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა.

ცხრილი № 4 რამდენი პროექტი განახორციელეს ორგანიზაციებმა 2005-2009 წლების განმავლობაში?


დაფინანსების წყარო	საშუალო	მაქსიმუმი	ჯამში
საერთაშორისო დონორები	8,51	75	2035
თვითდაფინანსება	1,33	24	319
სხვა (ბიზნესი, სახელმწიფო)	0,59	42	140

ცხრილი № 5 რამდენი პროექტი განახორციელეს ორგანიზაციებმა 2002-2005 წლების განმავლობაში?

დაფინანსების წყარო	საშუალო	მაქსიმუმი	ჯამში	ტრანსფორმირებული მონაცემები	
				საშუალო	ჯამში
დონორების დახმარებით	5,4	50	986	6,7	1232,5
თვითდაფინანსებით	1,5	30	272	1,8	340
სხვა (ბიზნესი, სახელმწიფო)	0,4	10	71	0,5	88,75

მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება თბილისისა და რეგიონების მიერ დონორების დახმარებით განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობებს შორის. თბილისის ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა თითქმის 2,5-ჯერ აღემატება რეგიონების ორგანიზაციების იმავე მაჩვენებელს. თვითდაფინანსებული და ბიზნესის/სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების თვალსაზრისით განსხვავება თბილისისა და რეგიონებს შორის უმნიშვნელოა.

დიაგრამა №16. ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების საშუალო რაოდენობა, დედაქალაქისა და რეგიონების ორგანიზაციები, 2005-2009 წე.



- თვითდაფინანსებით განხორციელებული პროექტების მაგალითებია:
- სასწავლო პროგრამების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება (ინგლისური ენის, კომპიუტერის, სოციალური მუშაკის გადამზადების, ფერმერებისთვის ბიომეურნეობის საკითხე-

- ბზე, პოლიტიკური განათლების, ლიბერალური ეკონომიკის საკითხებზე);
- კვლევა (საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა ეკოლოგიურ საკითხებზე . . .)
- სხვადასხვა ტიპის გარემოსდაცვითი აქციების ჩატარება (გამწვანება, ტყის დასუფთავება..);
- პუბლიკაციების გამოცემა;
- კონფერენციების მოწყობა (ქალთა ჯანმრთელობის საკითხებზე, აკადემიური წრის წარმომადგენლებისთვის, აუდიტისა და ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტებზე, დაწყებით კლასებში ეკოლოგიის სწავლების თემაზე);
- ფილმის / ტელეგადაცემების მომზადება (დევნილებზე, მედიის თავისუფლებაზე, მუსულმანი მესხების რეპატრიაციის შესახებ);
- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა (ბიუჯეტის მონიტორინგი, გაზეთის გამოცემა ჩართულობის საკითხებზე, სამოქალაქო მონაწილეობის კვირეული);
- კულტურულ - გასართობი ღონისძიებების მოწყობა (მოგონებების საღამოები, კლასიკური მუსიკის კონცერტი, ექსკურსიები, ინტელექტუალური თამაშები, დევნილ ბავშვთა ინტეგრაციის ბანაკები);
- საქველმოქმედო ღონისძიებები (ჰუმანიტარული ტვირთების დარიგება, საქველმოქმედო კონცერტები, გამოფენა - გაყიდვების ორგანიზება, დევნილების მატერიალური და იურიდიული დახმარება);
- საინფორმაციო კამპანიები („ნუ მისცემთ ბავშვს ფულს ქუჩაში“, სხვადასხვა დაავადებაზე ინფორმაციული ვაკუუმის აღმოფხვრა, ოჯახურ ძალადობაზე, გენდერული თანასწორების საკითხებზე, უანგარო სისხლის დონაციის პოპულარიზაცია . . .);
- ზრუნვაზე ორიენტირებული საქმიანობა (მიუსაფარი ბავშვებისთვის თავშესაფრის მოწყობა, თემზე დაფუძნებული სერვისების განვითარება შშმ ბავშვებისთვის, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, სხვადასხვა ტიპის სახელოსნოების მოწყობა ბავშვებისთვის).

სახელმწიფოსთან თანამშრომლობით და/ან დაფინანსებით (მათ შორის თანადაფინანსებით) განხორციელებული საქმიანობის მაგალითებია:


- **გარემოსდაცვითი საქმიანობა** (ნაგავსაყრელის გაწმენდა, დასუფთავების აქციები, გამწვანების აქციები, ტყის დასუფთავება, ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფა, სამუშაო შეხვედრები გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება, გარემოს დამბინძურებელთა რეესტრის, დაცული ტერიტორიების მონიტორინგი);
- **სასწავლო პროგრამების შეთავაზება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებისთვის** (სამინისტროების, პოლიციის აკადემიის, პარლამენტის, გამგეობების თანამშრომლებისთვის ...);
- **თვითმმართველობების გაძლიერების ხელშეწყობა** (საბიუჯეტო პროცესების სრულყოფა, მუნიციპალიტეტისთვის დოკუმენტაციის მართვის ელექტრონული სისტემის შექმნა, საშიშბუნებრივი მოვლენების პრევენციის სამუშაო ჯგუფის ფორმირება ადგილობრივ თვითმმართველობასთან, დახმარება ბათუმის მერიაში ეფექტური მომსახურების ცენტრის შექმნაში);
- **ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერება** / მოქალაქეთა აქტიურობის გაზრდა (ბიუჯეტის ფორმირებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, მონიტორინგში ჩართვა, ქონების მართვისა და პრივატიზაციის მონიტორინგი, მიწის პრივატიზაციის მონიტორინგი, ჯანდაცვის სფეროში მიზნობრივი პროგრამების მონიტორინგი, ადგილობრივი დემოკრატიის კვირეულის ორგანიზება, დაარსება გადაცემისა „ხელისუფლება გისმენთ“);
- **მოწყვლად ჯგუფების ზრუნვაზე ორიენტირებული საქმიანობა** (საავადმყოფოში დღის ცენტრის მოწყობა შშმ ბავშვებისთვის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების სოციალური ინტეგრაცია, შშმ ბავშვთა საზაფხულო არდადეგების მოწყობა, საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიებების მოწყობა, კვლევა, სასწავლო პროგრამების ორგანიზება, უსინათლოებისთვის გამცილებლით უზრუნველყოფის პროგრამა);

- **რელიგიური და ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია** (სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის შექმნა . . .);
- **ადგილობრივი თემების განვითარება / ინფრასტრუქტურული პროექტები** (სასმელი წყლის სისტემის გაუმჯობესება, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების აღდგენითი სამუშაოები, რიტუალების სახლის რეაბილიტაცია, ამხანაგობების შესახებ საინფორმაციო კამპანია, ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა და მოგვარება, სათემო სადაზღვევო სისტემის სქემის განხორციელება სოფლებში);
- **კანონშემოქმედებითი საქმიანობა / კანონპროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება** (ოჯახში ძალადობა, გენდერული თანასწორობის საკითხები, გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესახებ, ბიოაგრონარმობების შესახებ, ფსიქიატრიული დაცმარების შესახებ);
- **საგანმანათლებლო რეფორმის ხელშეწყობა / სკოლების ხელშეწყობა** (ტრენინგები პედაგოგებისთვის, დირექტორებისთვის, ბილინგვური სწავლება საბავშვო ბალებში, სკოლების გათბობისთვის სათბობი შეშით უზრუნველყოფა);
- **დევნილთა დახმარება** (დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაცია, ომით დაზარალებულთა ეკონომიკური გაძლიერების პროექტი, საკვირაო სკოლები დევნილთა ბავშვებისთვის, დასაქმებაში ხელშეწყობა, უფლებების დაცვა, დევნილთა საჭიროებების გამოვლენა და მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების შეთავაზება ხელისუფლებისთვის);
- **ტურიზმის განვითარება** (ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ტრენინგი, სტანდარტების შემუშავება საოჯახო სასტუმროებისთვის)
- **სახელმწიფო სტრუქტურებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა** (რეგიონის სტრატეგიული გეგმის შემუშავება, სამინისტროს ვებპორტალის შექმნა, ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება, იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიისთვის რეკომენდაციების შემუშავება, კულტურის განყოფილების სტრატეგიული გეგმის შემუშავება, ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება);
- **კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია;**
- **არჩევნების ხელშეწყობა** (სამოქალაქო ინსტიტუტების ჩართულობა, საარჩევნო სიებზე მომუშავე ჯგუფის წევრობა);
- **კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ორგანიზება;**
- **ადვოკატირება / უფლება დაცვითი საქმიანობა** (ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, „ქალაქის ადვოკატი“);
- **ჯანდაცვა** (ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა ოჯახის წევრებისთვის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სკოლა, შიდსის პრევენცია);
- **სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა** (სარეკომენდაციო პაკეტის მომზადება, ეროვნული უმცირესობებისთვის ენის სწავლების რეკომენდაციები);
- **სასამართლო რეფორმის ხელშეწყობა** (იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარება სკოლებში);
- **მინის პრივატიზაციის რეფორმის ხელშეწყობა** (გლეხების დახმარება);
- **პროგრამები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ** (ძეგლთა დაცვა, ახალგაზრდების ინფორმირება კულტურის ძეგლების შესახებ);
- **სამშვიდობო აქციები;**
- **სასკოლომოხდილი პირების რეინტეგრაციული პროექტები.**

ორგანიზაციების პრობლემები და მიღწევები

ორგანიზაციათა უმეტესი ნაწილი (69,4%) საკუთარ მიღწევად ორგანიზაციულ განვითარებას ასახელებს, რომლებშიც ძირითადად ადამიანური რესურსების განვითარება, ფინანსური მდგრადობის, ფინანსური წყაროების გამრავალფეროვნება, მომსახურების განვითარება, სექტორული თანამშრომლობა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამდიდრება, საქმიანობის გაფართოება, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ორგანიზაციული იმიჯის გაუმჯობესება იგულისხმება.

დიაგრამა 17. ორგანიზაციების მიღწევები



ორგანიზაციების 36,7% მიღწევაში კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფების ინტერესთა დაცვის ნარმატებულ შემთხვევებს ასახელებს. ინტერესთა დაცვის მაგალითებია: მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღებაში; მერიის მიზნობრივ პროგრამაში 1000 ახალი ადამიანის ჩართვა; სხვადასხვა კანონების მიღების ლობირება; სასამართლოს სხვადასხვა დონეზე მოგებული საქმეები; საქართველოს უურნალისტური ეთიკის ქარტიის მიღება; სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში მონაწილეობა (ბავშვთა დაცვა, ეროვნული უმცირესობები).


სამოქალაქო ცნობიერების გაზრდას და მოსახლეობის გააქტიურებას ორგანიზაციების 17.8% მიიჩნევს საკუთარი საქმიანობის ნარმატებად; ამ კუთხით კონკრეტული შედეგების მაგალითებია: ოჯახური ძალადობის თემის წინ წამოწევა საზოგადოებაში; საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეების ჩართვა; მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ; ინფორმაციის გამჭვირვალობის ამაღლება.

ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით სახელდება ისეთი შედეგები, როგორებიცაა: ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება; სვანეთის ტურიზმის ცენტრის ჩამოყალიბება; 18 ახალი ბიზნესის დაწყება ორგანიზაციის უშუალო ხელშეწყობით; რძის რეალიზაციის ხელშეწყობა;

სირთულეებად, რომლებსაც აწყდებიან ორგანიზაციები და მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ყველაზე ხშირად დაფინანსების პრობლემები სახელდება (51.5%), მათ შორის - დონორების ნაკლებად დაინტერესება რეგიონის ორგანიზაციებით;

სახელმწიფოსთან ურთიერთობების პრობლემებს ორგანიზაციების 28.6% ასახელებს - ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები დაინტერესება კონკრეტული სფეროების დაფინანსებით და დაბალი ინტერესი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ; ხშირი საკადრო ცვლილებები; გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნელი ტემპი; ადამიანური რესურსების დეფიციტი (მათ შორის კვალიფიციური რესურსის ნაკლებობას რეგიონებში) პრობლემად ორგანიზაციების 17.3% ასახელებს.

დღიურამა 18 ორგანიზაციების პრობლემები



3.2 კრიტერიუმი - გარე ურთიერთობები


ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 2,4 (2005 6) 2,35 (2010 6)
ძირითადი შედეგები

- 2010 — 2005 წლის კვლევებს შორის პერიოდში როგორც რეგიონების, ისე თბილისის ორგანიზაციების გარე ურთიერთობების საშუალო ქულამ უმნიშვნელოდ დაიკლო; იგივე ტენდენცია შეიმჩნეოდა 2005-2002 წლის მონაცემთა შედარების მიხედვით;
- დედაქალაქის ორგანიზაციებში, რეგიონის ორგანიზაციებთან შედარებით, გარე ურთიერთობებში უფრო მაღალი ქულა მიიღეს, როგორც 2005 წლის, ისე - 2010 წლის შეფასებებში;
- გამოკითხულთა თითქმის ორ მესამედს აქვს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტის განხორციელების გამოცდილება და ნახევარზე მეტი (53%) არის რაიმე ქსელის ან კოალიციის წევრი;
- დღესდღეობითაც ისევე, როგორც ამას 2005 წლის კვლევა ცხადყოფს, საზოგადოებრივ სექტორს ბიზნესთან თანამშრომლობის ჯერ კიდევ საკმაოდ მნირი გამოცდილება აქვს. ორგანიზაციები არ/ვერ თანამშრომლობენ ბიზნეს სექტორთან. თუ რაიმე სახის ურთიერთობა მაინც არსებობს ამ ორ სექტორს შორის, შედარებით ხშირია ბიზნესსექტორისთვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზების შემთხვევები. ამასთან თბილისის ორგანიზაციების უფრო დიდი ნაწილი სთავაზობს სერვისს ბიზნესსექტორს, ვიდრე რეგიონისა.
- 2005 წლის მონაცემებით, სახელმწიფო სტრუქტურებთან თანამშრომლობის პრეცედენტები 2002 წელთან შედარებით შემცირდა, განსაკუთრებით რეგიონებში. 2010 წელს, 2005 წელთან შედარებით, გაიზარდა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და გამოთხვევის შემთხვევები. ერთობლივი პროექტების მაჩვენებელი პრაქტიკულად არ შეცვლილა. საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსების თვალსაზრისით. მცირედით გაიზარდა ხელისუფლების მიერ პროექტის დაფინანსების მაჩვენებელი, განსაკუთრებით - ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამინისტროს მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის შეკვეთების მიცემის/პროექტების თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი.


მონაცემთა აღწერა

გარე ურთიერთობების კრიტერიუმის მიხედვით, 2005 წელს ორგანიზაციათა საშუალო შეფასება 4 ქულიან სკალაზე 2.4-ია. 2010 წლის მონაცემებით კი ორგანიზაციათა საშუალო ქულა არის 2.35.


დიაგრამა 19. ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები გარე ურთიერთობების კრიტერიუმის მიხედვით, 2005-2010 წლები.



დიაგრამა 20 თბილისის ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები გარე ურთიერთობების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010 წლები.




დიაგრამა 21. რეგიონების ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები გარე ურთიერთობების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010 წლები.



2005 წელს რეგიონში საშუალო მაჩვენებელი 2,24-ის ტოლი იყო, ხოლო თბილისში – 2,73-ის ტოლი. 2010 წელს ორივე მაჩვენებელმა უმნიშვნელოდ დაიკლო: თბილისში – 2.6-მდე, ხოლო რეგიონში – 2.18-მდე.

დიაგრამა 22. რეგიონული ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები გარე ურთიერთობების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ.



2005 წელს საშუალო მაჩვენებლების თვალსაზრისით ლიდერობდნენ თბილისის, აჭარისა და გურიის ორგანიზაციები. 2010 წელს ლიდერობა შეინარჩუნეს გურიისა და თბილისის ორგანიზაციებმა, ხოლო აჭარის რეგიონის ორგანიზაციების მაჩვენებლები შემცირდა. თბილისის ორგანიზაციების მაჩვენებელი 2005 წელთან შედარებით შემცირდა, ხოლო იმერეთისა - გაიზარდა.

მონაცემთა აღწერა

3.2.1. სექტორში ერთობლივი პროექტების განხორციელების გამოცდილება

მოცემული ქვეკრიტერიუმით ფასდება ორგანიზაციების გარე ურთიერთობების წარმართვის ხარისხი; კერძოდ, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად პროექტების ერთობლივი განხორციელებისა და კოალიციური/ქსელური მუშაობის გამოცდილება.


გამოკითხულთა თითქმის ორ მესამედს (71%) აქვს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტის განხორციელების გამოცდილება. ნახევარზე მეტი (53%) არის რაიმე ქსელის ან კოალიციის წევრი ერთი პროექტის ფარგლებში მაინც.

3.2.2. სახელმწიფოსთან ურთიერთობა

2005 წლის კვლევაში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთ-ერთ ყველაზე სუსტ მხარედ მიიჩნეოდა. სექტორის არსებობის მანძილზე კონსტრუქციული ურთიერთობა ფაქტიურად ვერ ხერხდებოდა. სახელმწიფო ადეკვატურად არ რეაგირებდა სსო-ების კრიტიკასა თუ ინიციატივა/შეთავაზებებზე. მიუხედავად ამისა, 2005 წლისათვის გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა სფეროში საექსპერტო გამოცდილების

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში


დიაგრამა 23. ხელისუფლების მიერ პროექტების დაფინანსება, 2005-2010 წლების შედარება



დაგროვების პარალელურად საზოგადოებრივმა სექტორმა მნიშვნელობა და გავლენა შეიძინა არა მარტო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის, არამედ სახელმწიფო სტრუქტურებისთვისაც - სხვადასხვა დონის სახელმწიფო სტრუქტურებსა და სსო-ებს შორის ურთიერთობას, მართალია, პერიოდული/მოკლევადიანი, მაგრამ თანამშრომლობის სახე ჰქონდა.

მიუხედავად ზომიერი პროგრესისა, მსგავსი ტენდენციის გაგრძელების დასტურია 2010 წლის მონაცემებიც. საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა ხელისუფლების მხრიდან საზოგადოე-

დიაგრამა 24. ხელისუფლებასთან ერთობლივი საქმიანობა / პროექტი, 2005-2010 წლების შედარება



ბრივი ორგანიზაციების პროექტების დაფინანსების თვალსაზრისით. მცირედ, თუმცა გაიზარდა ხელისუფლების მიერ პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი. განსაკუთრებით გაიზარდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამინისტროს მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის შეკვეთების მიცემის/პროექტების თანადაფინანსების პროცენტულმა მაჩვენებელმა (2010 – 16,3%; 12,9%; 2005- 8,7%; 1,6%)


რაც შეეხება სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთობლივი საქმიანობის შემთხვევებს, 2005 წელთან შედარებით, უმნიშვნელოდ გაზრდილია სამინისტროებთან თანამშრომლობის პრეცედენტები (2010 წელი -24,3%; 2005 – 22,3%); ასევე უმნიშვნელოდ იყლო ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთობლივი საქმიანობის პროცენტულმა მაჩვენებელმა (2010-39,7%, 2005 - 43,5%;), თუმცა, ამ მონაცემების მიხედვით, შეიძლება ითქვას, სურათი თითქმის იგივეა.

ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელისუფლებასთან ურთიერთობენ ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდებისთვის. გამოკითხულთა მეათედს (10,6%) თანამშრომლობა (ერთობლივი პროექტი) ჰქონია რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურასთან. 2005 წელთან შედარებით გაიზარდა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და გამოთხოვის შემთხვევები.

ცხრილი № 6. სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის ფორმები


	ინფორმაციის გამოთხოვა	ინფორმაციის მიწოდება	პროექტის დაფინანსება	საოფისე ან სხვა ფართით უზრუნველყოფა	ერთობლივი საქმიანობა
სამინისტროები	50,2	49,8	13,0	2,1	24,3
პარლამენტი	22,2	23,0	0,8	0,0	5,9
მერია	21,3	18,8	3,3	1,3	5,9
საკრებულო	42,7	39,7	5,4	3,8	16,7
გამგეობა / მუნიციპალიტეტები	41,0	39,7	7,5	3,8	17,2
სასამართლო	7,9	6,7	0,0	0,8	0,4
სამართალდამცავი ორგანოები	13,8	12,6	0,0	0,0	3,8

დიაგრამა 25. სახელმწიფოსთან ურთიერთობის ფორმების სიხშირე, 2010 წ.



როგორც ქვემოთ მოყვანილი დიაგრამიდან ჩანს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყველაზე ხშირად ურთიერთობები უწევთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან (გამგეობა მუნიციპალიტეტი, საკრებულო 31,1%; მერია - 21,8%); სახელმწიფოსთან ხშირი ურთიერთობის საკმაოდ დიდი პროცენტი მიიღო სამართალდამცავმა ორგანოებმა (21,7%)

დიაგრამა 26. სახელმწიფო სტრუქტურებთან ორგანიზაციების თანამშრომლობის სიხშირე



ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ორგანიზაციები თანამშრომლობენ შემდეგ სტრუქტურებთან:

- ომბუდსმენი
- სამსარეო ადმინისტრაცია
- განათლების რესურსცენტრი
- პრეზიდენტის ადმინისტრაცია
- საჯარო რეესტრი
- სამოქალაქო რეესტრი
- აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლობა
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყე-პარკი
- პრობაციის სამსახური
- გარემოს დაცვის რეგიონული სამსახური
- სასჯელაღსრულების დაწესებულებები
- დაცული ტერიტორიების სააგენტო
- ფსიქიატრიული ინსტიტუტები
- სოციალური მომსახურების სააგენტო
- ცენტრალური საარჩევო კომისია
- უშიშროების საბჭო

3.2.2.1 სახელმწიფოსთან ურთიერთობის პრობლემები

საზოგადოებრივი ორგანიზაციები სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობისას ასახელებენ შემდეგი სახის პრობლემებს:


- სახელმწიფო სტრუქტურებისგან სარწმუნო ინფორმაციის დეფიციტი
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დეფიციტი
- განახლებადი სტატისტიკური მონაცემების დეფიციტი
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულება (რეკომენდაციების არგათვალისწინება)
- სახელმწიფო სტრუქტურებში ხშირი საკადრო ცვლილებები ართულებს არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობას ხელისუფლების წარმომადგენლებთან, თავიდან ხდება საჭირო კონტაქტების დამყარება
- ხელისუფლებისგან დაფინანსების მოპოვების სირთულეები.

3.2.3 ბიზნესთან ურთიერთობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ბიზნესის ურთიერთობა სექტორის არსებობის განმავლობაში მცირე ინტენსივობით ხასიათდება. 2005 წლის კვლევაში აღნიშნული იყო, რომ სსო-ებისთვის ქართული ბიზნესი შეიძლება დაფინანსების ალტერნატიულ წყაროდ იქცეს შემოწირულობების ან ბიზნესის წარმომადგენლებისთვის განეული მომსახურების ანაზღაურების სახით. იყო მოლოდინი, რომ 2005 წლის იანვრიდან ძალაში შესული საგადასახადო კოდექსის ახალი დებულებები, რომლებიც საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაცემული შენირულობების ნაწილში საგადასახადო შედავათებს ითვალისწინებს, ახალ სტიმულს მისცემდა საქართველოში ქველმოქმედების განვითარებას და გარკვეულ გარდატეხას შეიტანდა ბიზნესსა და სამოქალაქო სექტორს შორის ურთიერთობებში.

მიუხედავად ამისა, 2010 წლის კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივსა და ბიზნესექტორებს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვნად არ გაღრმავებულა ბოლო წლების განმავლობაში. ეს ისევ და ისევ სექტორებს შორის კომუნიკაციისა და ნდობის დეფიციტითაა გაპირობებული. სავარაუდოდ, სექტორი კვლავ არ უთმობს საკმარის დროსა და ძალისხმევას ბიზნესთან ურთიერთობების გაღრმავებას. შესაბამისად, ბიზნესის წარმომადგენლებიც ნაკლებად მოიაზრებენ მესამე სექტორს სრულფასოვან პარტნიორად.

დიაგრამა 27. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობა ბიზნესსექტორთან, 2005 და 2010 წლების შედარება




2010 წლის მონაცემებით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობა ბიზნესსექტორთან საკმაოდ მნირია, ამ მხრივ სიტუაცია 2005 წლის შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა. კვლავ დიდ უმრავლესო-

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

ბას არ აქვს ურთიერთობა ბიზნესსექტორთან და ეს მონაცემი შედარებით გაიზარდა (57% 2005 წელი, 68,3% - 2010 წელის). თუ რამე სახის ურთიერთობა მაინც არსებობს ამ ორ სექტორს შორის, შედარებით ხშირია ბიზნესსექტორისთვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზების შემთხვევები. ამასთან თბილისის ორგანიზაციების უფრო დიდი ნაწილი სთავაზობს სერვისს ბიზნესსექტორს, ვიდრე რეგიონებისა.

დიაგრამა 28. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთობა ბიზნესსექტორთან, თბილისისა და რეგიონების ორგანიზაციები



ქვემოთ მოყვანილია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან ბიზნესორგანიზაციებისთვის შეთავაზებული სერვისის მაგალითები, ესენია:

- კონფერენციის მოწყობა
- ტრენინგების ჩატარება (სასტუმროების ქსელისთვის, ბუღალტერია, აუდიტი . . .)
- საკონსულტაციო მომსახურება (იურიდიული, ბიზნეს კონსულტაციები, მომხმარებელთა ეფექტური მომსახურება, გარემოსდაცვითი კონსულტირება. . .)
- მარკეტინგული კვლევა
- რეკლამა, სარეკლამო სტატიები
- ბიზნეს გეგმების მომზადება
- მცირე საწარმოების ჩამოყალიბებაში დახმარება

ერთობლივი საქმიანობის მაგალითები:

- საქველმოქმედო საქმიანობა (ბავშვთა სახლის დახმარება, მოხუცებულთა სახლის დახმარება)
- ნარჩენების მართვა
- პატიმრების მედიკამენტებით მომარაგება
- ახალგაზრდა ლიდერების პროგრამა
- ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული აქციის დაფინანსება)
- ეკლესია მონასტრების აღდგენა
- სისხლის უანგარო დონაციის პოპულარიზაციის აქცია.

ბიზნესისგან მიღებული დახმარება:


- ორგანიზაციის ოფისის გათბობის დაფინანსება
- ორგანიზაციის პრეზენტაციის მოწყობის დაფინანსება.

3.2.4 ინფორმაციის გავრცელების ფორმები და რეგულარობა

ინფორმაციის გავრცელების ფორმებისა და რეგულარობის მიხედვით საზოგადოებრივი სეტორის განვითარების მაჩვენებლები 2005 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.


2010 წელს გამოკითხული ორგანიზაციების 28% ინფორმაციას მიზანმიმართულად ავრცელებს და ამისთვის წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმა გააჩნია.

დიაგრამა 29. შეკითხვა: „არსებობს თუ არა ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელების რაოდენობა?“ 2010 წ.




რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელების სიხშირეს, 2005 წელთან შედარებით, უმნიშვნელოდ მოიმატა იმ ორგანიზაციების პროცენტიმა, რომლებიც საკუთარი თავის შეახებ ინფორმაციას თვეში რამდენიმეჯერ ავრცელებენ (2005 წელს - 28%, 2010 წელს - 31,3%); ორგანიზაციები, რომლებიც უფრო იშვიათად ან საერთოდ არ ავრცელებენ ინფორმაციას 2005 წელს დაახლოებით 18%-ს შეადგენდნენ, 2010 წელს ასეთი ორგანიზაციების პროცენტი შემცირდა (14,6%).

დიაგრამა 30. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გავრცელების სიხშირე (პროცენტული მაჩვენებელი 2010წ.).



ორგანიზაციის შესახებ ბუკლეტების გამოცემა, საგაზეთო სტატიები, ტელე-რადიო გამოსვლები ისევე, როგორც 2005 წელს, კვლავ ინფორმაციის გავრცელების ყველაზე ხშირად გამოყენებად ფორმებად რჩება. მნიშვნელოვნად გაიზარდა ორგანიზაციების მიერ ინტერნეტგვერდის გამოყენების მაჩვენებლები. 2005 წელს ინტერნეტგვერდი ორგანიზაციების მხოლოდ 39%-ს გააჩნდა, ხოლო 2010 წელს ინტერნეტგვერდს, როგორც ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ერთ-ერთ ფორმას, საზოგადოებრივი ორგანიზაციების უკვე 50.4% იყენებს. წლიური ანგარიშების გამოცემას ისევე, როგორც 2005 წელს, ორგანიზაციების მხოლოდ 29% ახდენს (2005 წელი მაჩვენებელი - 28%).

დიაგრამა 31. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოყენებული ინფორმაციის გავრცელების ფორმები (პროცენტული მაჩვენებელი 2010წ.)



3.3 კრიტერიუმი - სტრუქტურული განვითარება

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 2,4 (2005 წ) 2,29 (2010 წ)
ძირითადი შედეგები

- ორგანიზაციათა სტრუქტურული განვითარების საშუალო ქულამ კვლევის ორ ეტაპს შორის პერიოდში უმნიშვნელოდ დაიკლო, ძირითადად თბილისის ორგანიზაციების ხარჯზე. რეგიონის ორგანიზაციებში შეინიშნება უმნიშვნელო წინსვლა;
- დღეს-დღეობით, მიუხედავად ქულების დაწევისა, თბილისის ორგანიზაციები რეგიონის ორგანიზაციებთან შედარებით სტრუქტურულად უფრო განვითარებული არიან;
- ორგანიზაციათა უმრავლესობას მარტივი სტრუქტურა აქვთ.
- ორგანიზაციათა მესამედის გამგეობის წევრები სრულად არიან ჩართულნი ყოველდღიურ საქმიანობაში. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილის გამგეობა არის სრულად გამიჯნული ორგანიზაციის საქმიანობისგან.

- ქმედითი შუალედური აღმასრულებელი ორგანიზაციათა მხოლოდ 15%-ს. მეოთხედზე მეტში აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის თავმჯდომარე ერთი და იგივე პირია.
- გამგეობის თავმჯდომარის ცვლილების პრაქტიკა დანერგილია უფრო მეტად დედაქალაქის ორგანიზაციებში, ვიდრე რეგიონის.
- იშვიათია გამგეობის წევრების ორგანიზაციის გარედან მოწვევის პრაქტიკა



მონაცემთა აღწერა

გამოკითხული ორგანიზაციების სტრუქტურული განვითარების საშუალო ქულამ მცირდით დაიკლო - 2.4-დან 2.29-მდე. 2005 წლის შემცირდა მაქსიმალური ქულის (4) მქონეთა რიცხვიც.



ამ კრიტერიუმის მიხედვით, თბილისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმეტესი ნაწილის შეფასება 4-ქულიან სკალაზე 2-დან 3,5-მდე დიაპაზონში მერყეობს, რეგიონული ორგანიზაციების კი ძირითადად 2-დან 3-მდე.

2005 წლის კვლევის მონაცემების თანახმად შეიმჩნეოდა სტრუქტურული განვითარების საშუალო ქულების საერთო ზრდის ტენდენცია, 2010 წლის მონაცემები ცხადყოფს, რომ სტრუქტურული განვითარების მიხედვით საერთო ზრდის ტენდენცია აღარ შეიმჩნევა. თბილისის ორგანიზაციებში არის უმნიშვნელო უკუსვლა, თუმცა რეგიონების ორგანიზაციებში პროგრესი შეინიშნება.

დიაგრამა 32 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები სტრუქტურული განვითარების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ




დიაგრამა 33 თბილისის ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები სტრუქტურული განვითარების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ



საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში


დიაგრამა 34 რეგიონების ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები სტრუქტურული განვითარების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ



რეგიონულ ორგანიზაციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პროგრესი 2005 წლიდან 2010 წლამდე სტრუქტურული განვითარების მიხედვით განიცადეს სამცხე-ჯავახეთის, გურიის, აჭარის და იმერეთის ორგანიზაციებმა.

თბილისის და ორი რეგიონის, კახეთისა და სამეგრელოს გარდა, ყველა რეგიონის ორგანიზაციების საშუალო ქულები გაიზარდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა სამცხე-ჯავახეთის ორგანიზაციებში შეინიშნა.

დიაგრამა 35 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები სტრუქტურული განვითარების კრიტერიუმის რეგიონების ჭრილში 2005-2010წწ



3.3.1 გამგეობა, როგორც მმართველი და სამეთვალყურეო რგოლი

გამგეობის, როგორც მმართველი და სამეთვალყურეო რგოლის გამიჯვნა აღმასრულებელი ფუნქციისგან ორგანიზაციული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვან კრიტერიუმად იყო მიჩნეული. 2005 წლის კვლევაში აღნიშნული იყო, რომ ასეთი, აღმასრულებელი ფუნქციისგან გამიჯნული გამგეობის არსებობა საქართველოში, სავარაუდოდ, ზოგიერთი დონორის მოთხოვნით იყო დაჩქარებული. 2005 წლის კვლევით დაფიქსირებული პროგრესიც, სავარაუდოდ, უფრო მეტად დონორის მოთხოვნებს ასახავდა და არა ბუნებრივი განვითარების შედეგს.

2010 წლის მონაცემებით, ორგანიზაციათა დიდ უმრავლესობას (96,2%) ყავს გამგეობა, რომელიც საშუალოდ 5 ადამიანისგან შედგება, ორგანიზაციათა მცირე ნაწილს (2,6%) ყავს მრავალრიცხოვანი გამგეობა, 10-33 ადამიანი. ორგანიზაციათა მესამედის გამგეობის წევრები სრულად არიან ჩართულნი ყოველდღიურ საქმიანობაში. მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილის გამგეობა არის სრულად გამიჯნული ორგანიზაციის საქმიანობისგან.

ცხრილი № 7 გამგეობის წევრების ჩართულობა ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში

გამგეობის შემადგენლობის %	%
0	7,6
30%-მდე	12,5
30%-60%	34,8
60%-90%	11,6
100	33,5

გამგეობის თავმჯდომარის ცვლილების პრაქტიკა დანერგილია უფრო მეტად დედაქალაქის ორგანიზაციებში, ვიდრე რეგიონის. თბილისის ორგანიზაციების 40%-ში ერთხელ მაინც შეიცვალა გამგეობის თავმჯდომარე, მაშინ როცა მსგავსი ცვლილებები რეგიონის ორგანიზაციების მხოლოდ 23%-ში მოხდა. გამგეობის წევრების მონაცვლეობა არ ხდება ორგანიზაციათა 43%-ში. იქ სადაც არსებობს მონაცვლეობის მექანიზმი როგორც წესი ხდება წევრების როტაცია ორგანიზაციის შიგნით, შედარებით იშვიათია გამგეობის წევრების ორგანიზაციის გარედან მოწვევის პრაქტიკა (8%).

ცხრილი № 8 გამგეობის ფუნქციები

	% ორგანიზაციებიდან
მხოლოდ სამეთვალყურეო ფუნქცია (ზოგადი სტრატეგიის განსაზღვრა, კონტროლი)	31,7
ორგანიზაციის მართვა	46,25
ორგანიზაციის პროექტებში უშუალო მონაწილეობა	38,3

ორგანიზაციათა მცირე ნაწილს აქვს გამგეობის გარდა სხვა სამეთვალყურეო ორგანო, რომლის ფუნქციებია:

- ორგანიზაციის სტრატეგიის განსაზღვრა
- რეკომენდაციების მიცემა
- ბიუჯეტის და სამუშაოს მონიტორინგი
- ფანდრაიზინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა
- შედეგების შეფასება
- საწესდებო მიზნებთან ქონების გამოყენების შესაბამისობის კონტროლი

3.3.2 შუალედური აღმასრულებელი რგოლი

გამოკითხულთაგან 90% (216 ორგანიზაცია) კავშირია, ხოლო 10% (24 ორგანიზაცია) ფონდი.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ორგანიზაციათა უმრავლესობას მარტივი სტრუქტურა აქვთ. ქმედითი შუალედური აღმასრულებელი რგოლი გააჩნია გამოკითხულ ორგანიზაციათა მხოლოდ 15,4%-ს. მეოთხედზე მეტში (28,3%) აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის თავმჯდომარე ერთიდაიგივე პირია.

ცხრილი № 9 სტრუქტურული რგოლების არსებობა, ქმედითუნარიანობა

	არსებობს, მაგრამ არ არის ქმედითი	არსებობს და ქმედითია
საერთო კრება ³	10,6	64,8
გამგეობა	5,8	77,5
შუალედური აღმასრულებელი რგოლი (დირექტორთა საბჭო . . .)	0,4	15,4
აღმასრულებელი დირექტორი	0,8	39,6
გამგეობის თავმჯდომარე	1,7	60,4
აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის თავმჯდომარე ერთიდაიგივე პირია		28,3

**3.4 კრიტერიუმი - ოპერაციული პროცესები (ორგანიზაციული პროცესების
ფორმალიზების ხარისხი - დაგეგმვა, საჭიროებების გამოვლენისა და
საქმიანობის შეფასების პროცესები, დოკუმენტაციის მართვა)**

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 2,6 (2005 წ) 2,5 (2010 წ)
ძირითადი შედეგები

- ოპერაციული პროცესების კრიტერიუმის საშუალო მაჩვენებელმა მცირედით მოიკლო, უმნიშვნელოდ რეგიონებში, შედარებით მეტად - თბილისში. თბილისის ორგანიზაციების შედარებით დაბალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ განპირობებულია ახალგაზრდა ორგანიზაციების გამოჩენით, სადაც ფორმალიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.
- ოპერაციული პროცესების მოწესრიგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წინსვლაა სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში. ამ რეგიონებში მკვეთრი წინსვლა სავარაუდოდ განპირობებულია იმით, რომ განვლილ პერიოდში გადარჩა ის ორგანიზაციები, რომლებიც შედარებით განვითარებული იყვნენ, ხოლო ნაკლებად განვითარებულმა ორგანიზაციებმა კონკურენციასა და რთულ პირობებს ვერ გაუძლო. ამ რეგიონებში ქმედით საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაოდენობამ დაიკლო, შესაბამისად, მიღებულ საშუალო ქულებში, განვითარებული ორგანიზაციების მაჩვენებლები მეტი წონით მონაწილეობს
- ორგანიზაციებმა დახვეწეს საჭიროებების გამოვლენის და ინტერესების დადგენის ფორმები. გამოკითხული ორგანიზაციებიდან, უმეტესობა (95%) იყენებს სამიზნე ჯგუფების ინტერესების და საჭიროებების გამოვლენის რაიმე ფორმას.
- საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის შემოწმებისთვის ორგანიზაციები ძირითადად მომსახურების განვითარების ხარისხის შეფასების მარტივ ფორმებს იყენებენ.
- საქმიანობის შეფასების პრაქტიკა ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ საკმაოდ მნირია. შედარებით გავრცელებულია მოკლევადიანი შეფასებების პრაქტიკა (მონიტორინგის ტიპის); საქმიანობის გრძელვადიანი ეფექტის შეფასებას ახდენს ორგანიზაციათა მხოლოდ 13%, და მათგან ნახევარ შემთხვევაში ეს დონორის ინიციატივით ხდება.

3. დათვლილია მხოლოდ ასოციაციებიდან / კავშირებიდან



მონაცემთა აღწერა

ორგანიზაციების შიდა პროცედურების ფორმალიზაციის ხარისხი მათი გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს და მიუთითებს შიდა ორგანიზაციული განვითარების დონეზე. 2005 წლის კვლევით დადასტურდა, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი კორელაცია ორგანიზაციული პროცედურების განვითარების დონესა და ფინანსურ მდგრადობას შორის, ანუ რაც უფრო მაღალია პროცედურების განვითარების მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობის ალბათობა.



მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადი დაკვირვებით, ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს პროცედურების გამართულობა, სრულყოფილად აწყობილი სისტემები ჯერ კიდევ საკმაოდ მცირე რაოდენობის ორგანიზაციებს აქვთ. 2010 წლის ოპერაციული პროცესების კრიტერიუმის საშუალო მაჩვენებელმა მცირედით მოიკლო, როგორც რეგიონებში, ისე თბილისში, შესაბამისად გახდა 2.33 და 2.75 (2005 წლის მონაცემებით იგივე მაჩვენებლები 2,4 და 3,1 შედაგენდა). თბილისის ორგანიზაციების შედარებით დაბალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ განპირობებულია ახალგაზრდა ორგანიზაციების გამოჩენით, სადაც ფორმალიზაციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

დიაგრამა 36 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ოპერაციული პროცესების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ

დიაგრამა 37 თბილისის ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ოპერაციული პროცესების




კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ




საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

დიაგრამა 38 რეგიონების ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები იპერაციული პროცესების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ



ცალკეული რეგიონების 2005-2010 წლების შედარებითი მონაცემების მიხედვით თუ ვიმ-სჯელებთ, იპერაციული პროცესების მოწესრიგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წინსვლაა სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში. ყველაზე მაღალი საშუალო ქულობრივი მაჩვენებელი დაფიქსირდა გურიაში. თბილისის, კახეთის, მიდა ქართლის საშუალო მონაცემებში, პირიქით, კლება დაფიქსირდა.


დიაგრამა 39 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები იპერაციული პროცესების კრიტერიუ-მის მიხედვით რეგიონების ჭრილში 2005-2010წწ



3.4.1 საქმიანობის დაგეგმვა


2010 წლის მონაცემებით, საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა დანერგილია ორგანიზაციების 88,75%, ანუ, ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი, რამე სახით გეგმავს საკუთარ საქმიანობას. ორგანიზაციების უმეტეს ნაწილს - 77,5%, ერთი სახის გეგმა გააჩნია, ძირითადად ეს არის ერთი წლის საქმიანობის გეგმა. ორგანიზაციების დაახლოებით მეათედზე მეტი (11,25%) დაგეგმვის სხვადასხვა ტიპს მიმართავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაგეგმვის პროცესი ამ ორგანიზაციებში კარგადაა განვითარებული.

დიაგრამა 40 საქმიანობის დაგეგმვის პრაქტიკა



2010 წლის მონაცემებით, საქმიანობის დაგეგმვის ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა ერთი წლის საქმიანობის დაგეგმვა. ამ პერიოდზე საქმიანობას გამოკითხული ორგანიზაციების 53,3% გეგმავს (თბილისში - 60,4%, რეგიონებში - 48,6); კვარტალურად საქმიანობას გეგმავს ორგანიზაციების 23,3% (თბილისში - 21,9%, რეგიონებში - 24,3%); ერთი თვის საქმიანობას გეგმავს ორგანიზაციების 9,6% (თბილისში 4,2%, რეგიონებში - 13,2%)


დიაგრამა 41 რა პერიოდის საქმიანობა იგეგმება



3.4.2 სამიზნე ჯგუფების ინტერესების და საჭიროებების გამოვლენის ფორმები

გამოკითხული ორგანიზაციებიდან, უმეტესობა (95%) იყენებს სამიზნე ჯგუფების ინტერესების და საჭიროებების გამოვლენის რაიმე ფორმას. საჭიროებების შეფასებისას მხოლოდ საკუთარ ცოდნას და ინტუიციას (საჭიროებების გამოვლენის ყველაზე მარტივ, ნაკლებად განვითარებულ ფორმას) ეყრდნობა ორგანიზაციათა 5%.


დიაგრამა 42 სამიზნე ჯგუფების ინტერესების და საჭიროებების გამოსავლენად რა ფორმებს იყენებენ ორგანიზაციები



3.4.3 საქმიანობის შეფასებისა და მომსხურების ეფექტურობის შემოწმების ფორმები


საკუთარი საქმიანობის ეფექტურობის შესამოწმებლად ორგანიზაციები სხვადასხვა ფორმებს მიმართავენ, ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმებია მომსახურების გაწევის შემდგომ შეფასების ბლანკის შევსება (49,4%) და ბენეფიციარებისაგან სამუშაო პროცესში ზეპირი შთაბეჭდილებების გაზიარება (43,9). რაც შეეხება საქმიანობის ეფექტურობის შემოწმებას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ამას ორგანიზაციების მხოლოდ 23,4% ახდენს.

დიაგრამა 43 საქმიანობის ეფექტურობის შემოწმების მექანიზმები




გამოკითხულთა 8,3% საერთოდ არ ახდენს საკუთარი საქმიანობის შეფასებას, შეფასებას მხოლოდ პროექტების დასრულების შემდეგ ახდენს ორგანიზაციათა 28,3%. იმ ორგანიზაციებში კი სადაც ხდება რამე პერიოდულობით საქმიანობის შეფასება, როგორც წესი ფასდება ერთი წლის საქმიანობა. საკმაოდ იშვიათია (მხოლოდ 8,8%) დიდი პერიოდის შეფასების პრაქტიკა.

დიაგრამა 44 საქმიანობის შეფასების პერიოდულობა




საქმიანობის გრძელვადიანი ეფექტის შეფასებას ახდენს ორგანიზაციათა მხოლოდ 13%. მათგან ნახევარ შემთხვევაში შეფასების ინიციატორი არის დონორი, ნახევარ შემთხვევაში კი ორგანიზაციის ხელმძღვანელი. შესაბამისად გამოკითხული ორგანიზაციების მხოლოდ 6,3% ატარებს შეფასებას მხოლოდ საკუთარი ინიციატივით. ის ორგანიზაციები ვინც ატარებენ გრძელვადიანი შედეგის შეფასებას, ძირითადად იწვევენ გარე შემფასებლებს, მხოლოდ 2% ატარებს შეფასებას საკუთარი ძალებით (თვითშეფასება).

დიაგრამა 45 საქმიანობის გრძელვადიანი შედეგის/ ეფექტის შეფასება



დიაგრამა 46 რა სახის შეფასებას იყენებენ ორგანიზაციები




3.4.4 დოკუმენტაცია

2010 წლის მონაცემებით, საკმაოდ კარგი მდგომარეობა დაფიქსირდა დოკუმენტაციის წარმოების ქვე-კერიტერიუმის მიხედვით. თბილისშიც და რეგიონებშიც, ორგანიზაციების უმეტესობას/ნახევარზე მეტს გააჩნია და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომია: ფინანსური ანგარიშები (80,8%); მრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან (79,2%); პროგრამული ანგარიშები (73,8%); მიმოწერის დოკუმენტები (69,6%), მნიშვნელოვანი შეხვედრების ოქმები (67,1%); შინაგანანესი (63,8%). ორგანიზაციების ნახევარზე მეტს გააჩნია აუდიტორული შემოწმების ანგარიში, აქედან მხოლოდ 4,2% ამბობს, რომ აუდიტის დასკვნა არ არის ხელმისაწვდომი.

განვითარების სტრატეგიული გეგმა და შეფასების ანგარიში აქვს 48,6 და 49,1%-ს.

დიაგრამა 47 დოკუმენტაციის არსებობა და ხელმისაწვდომობა



■ არსებობს. არ არის ხელმისაწვდომი

■ არსებობს. ხელმისაწვდომია

■ არ არსებობს

3.5 კრიტერიუმი - მისია, სტრატეგია



ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 2,3 (2005 წ) 2,63 (2010 წ)
ძირითადი შედეგები

- ქვეკრიტეიუმის - მისია და სტრატეგია - საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ზრდა ყველაზე თვალსაჩინოა 2005 წლებთან შეადრებით. უკანასკნელი წლების მანძილზე ორგანიზაციების საშუალო მაჩვენებლის ზრდა მისიისა და სტრატეგიული გეგმის კრიტერიუმის მიხედვით შეიმჩნევა როგორც თბილისში, ასევე რეგიონულ ორგანიზაციებში; 2005 წლის მონაცემებით, ეს დინამიკა, განსაკუთრებით თბილისის ორგანიზაციებში იყო თვალსაჩინო. 2010 წლისთვის, ზრდის ტენდენცია რეგიონების ორგანიზაციებში უფრო გამოკვეთილია, თუმცა თბილისის ორგანიზაციები მაინც უსწრებენ რეგიონის ორგანიზაციებს.
- როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ორგანიზაციათა რიცხვი, რომელთაც ჩამოყალიბებული მისიის განაცხადი გააჩნიათ;
- სტრატეგიული გეგმის ქმედითი დოკუმენტი, ინსტიტუციური განვითარების შედარებით მაღალ დონეზე მყოფ ორგანიზაციებს გააჩნიათ



მონაცემთა აღწერა

კრიტეიუმის - მისია და სტრატეგია - საშუალო მაჩვენებელი 2005-2010 წლის მანძილზე 2,3-დან 2,63 ქულამდე გაიზარდა. თბილისში მაჩვენებელი 2,9-დან 3.1-მდე, ხოლო რეგიონების ორგანიზაციებში - 2-დან 2,26-მდე ავიდა.

დიაგრამა 48 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები მისიის და სტრატეგიის კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ




დიაგრამა 49 თბილისის ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები მისიის და სტრატეგიის კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ




საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

დიაგრამა 50 რეგიონების ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები მისიის და სტრატეგიის კრიტიკულის მიხედვით 2005-2010წწ



დიაგრამა 51 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები მისიის და სტრატეგიის კრიტიკულის მიხედვით რეგიონების ჭრილში 2005-2010წწ



მისია- სტრატეგიის კრიტიკულის მიხედვით საშუალო მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია შეინიშნება ყველა რეგიონში, ყველაზე მკვეთრად გამოხატული კი - კახეთის, გურიის, იმერეთის, სამეგრელოს და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებშია.


3.5.1 მისიის განაცხადი

საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა ორგანიზაციის მისიის განსაზღვრით იწყება. აღსანიშნავია, რომ მისიის განაცხადის არსებობის მაჩვენებელმა იმატა 2005 წელთან შედარებით. თუ 2005 წელს გამოკითხულთა 72%-ს ქონდა წერილობით ფორმულირებული მისიის განაცხადი, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 79%-მდე გაიზარდა. რეგიონებისა და დედაქალაქის ჭრილში თუ გან-


საზოგადოებრივი ორგანიზაციათა გაცვითარების ანგარიში

ვიხილავთ, ვნახავთ რომ წერილობითი მისიის განაცხადების არსებობის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა როგორც თბილისის, ისე რეგიონის ორგანიზაციებში.

დიაგრამა 52 გააჩნია თუ არა ორგანიზაციებს მისიის განაცხადი, 2010 და 2005 წლები




დიაგრამა 53 წერილობითი მისიის განაცხადის არსებობა, თბილისის და რეგიონის ორგანიზაციები, 2005-2010 წლები



3.5.2 სტარტეგიული გეგმა

სტრატეგიული გეგმა, როგორც ქმედითი და პროექტების შესაბამისი დოკუმენტი შემუშავებული აქვთ ორგანიზაციათა 43,8 %-ს. ამ მაჩვენებლის მიხედვითაც უკეთესი მდგომარეობაა თბილისის ორგანიზაციებში. რეგიონის ორგანიზაციების თითქმის ნახევარს არანაირი სახით არ აქვს სტრატეგიული გეგმა. თბილისის ორგანიზაციების უმეტესობა, რომელთაც აქვთ სტრატეგიული გეგმის ქმედითი დოკუმენტი, ინსტიტუციური განვითარების მხრივ I და II დონეს მიეკუთვნა (87,9%), ხოლო რეგიონის ორგანიზაციების უმეტესობა კი II და III დონეს (77,8%).

დიაგრამა 54 აქვს თუ არა ორგანიზაციას სტრატეგიული გეგმა⁴



3.6 კრიტერიუმი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 3 (2005 წ) 2.98 (2010 წ)
ძირითადი შედეგები



- ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა
- 2010 წლის გამოკითხვის თანახმად, ორგანიზაციათა ნახევარი კმაყოფილია იმ საოფისე ტექნიკით, რაც გააჩნია.
- 2005 წელთან შედარებით გაუმჯობესდა ორგანიზაციების ტექნიკური 2005 წელთან შედარებით ორგანიზაციებს უფრო მეტი რაოდენობის კომპიუტერი, პრინტერი და ტელეფონი აქვთ 2010 წელს.
- 2005 წელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომელთაც საკუთრებაში აქვთ ოფისი;
- 2005 წლისგან განსხვავებით, ორგანიზაციებისთვის პრაქტიკულად აღარ წარმოადგენს პრობლემას ინტერნეტის ხელმისაწვდომობა.
- თბილისის ორგანიზაციებს ისევე, როგორც 2005 წელს, უკეთესი ტექნიკური აღჭურვილობა აქვთ, რეგიონის ორგანიზაციებთან შედარებით, განსხვავება კვლევის ორ ეტაპს შორის პერიოდში ფაქტიურად არ შეცვლილია;

მონაცემთა აღწერა



2005-2010 წლის პერიოდში ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიხედვით საშუალო მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილია (2010 – 2,98; 2005- 3)

4. 2005 წელს ამ კითხვის პასუხების ფორმულირება განსხვავებული იყო, ამდენად არ მოხერხდა შედარება.



დიაგრამა 55 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კრიტიკულის მიხედვით 2005-2010წწ



დიაგრამა 56 თბილისის ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კრიტიკულის მიხედვით 2005-2010წწ




დიაგრამა 57 რეგიონების ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კრიტიკულის მიხედვით 2005-2010წწ



რეგიონების მიხედვით მაჩვენებლებით თუ ვიმსჯელებთ, თბილისისა და შიდა ქართლის გარდა, ყველა რეგიონში შეინიშნება გაუმჯობესება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ქვეკრიტიკულის მიხედვით. ყველაზე მეტად თვალსაჩინო ეს წინსვლა სამცხე-ჯავახეთშია. ყველაზე ნაკლებ განვითარებულია რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში


დიაგრამა 58 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კრიტერიუმის მიხედვით რეგიონების ჭრილში 2005-2010წწ.




3.6.1 ოფისი

გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი კვლავ ქირაობს საოფისე ფართს. საკუთრებაში საოფისე ფართი აქვთ ორგანიზაციების მეოთხედზე მეტს (27,9%), ამ მაჩვენებელმა მცირედით იმატა 2005 წელთან შედარებით. საკუთარი ოფისის ფლობის კუთხით უფრო მნიშვნელოვანი განსხვავებაა თბილისისა და რეგიონის ორგანიზაციებს შორის, თბილისის ორგანიზაციების 33,3% ხოლო რეგიონის ორგანიზაციების მხოლოდ 24,3% აქვს საკუთარი ოფისი.

დიაგრამა 59 საოფისე ფართით უზრუნველყოფის ფორმები, 2005-2010 წლები




დიაგრამა 60 საოფისე ფართით უზრუნველყოფის ფორმები, თბილისი და რეგიონები



3.6.2. თანამშრომლების სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა

ორგანიზაციების მიერ საკუთარი თანამშრომლების სამუშაო ადგილით უზრუნველყოფის კუთხით შემდეგი მდგომარეობაა: მეოთხედზე მეტს (22,1%) აქვს საშუალება, უზრუნველყოს სამუშაო ადგილით ყველა მუდმივი თანამშრომელი, ორგანიზაციების ორ მესამედზე მეტ ნაწილში (39,6%) სამუშაო ადგილები აქვს არამუდმივ თანამშრომლებსაც, დანარჩენ ორგანიზაციებში კი საოფისე ფართი არ არის საკმარისი თანამშრომელთა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფისათვის.

დიაგრამა 61 სამუშაო ადგილებით თანამშრომელთა უზრუნველყოფა




3.6.3. საოფისე ტექნიკა, საკომუნიკაციო საშუალებები

ორგანიზაციათა ნახევარი (49,2%) აცხადებს რომ მათ ხელთ არსებული საოფისე ტექნიკა სავსებით საკმარისია. 2005 წელთან შედარებით გაუმჯობესდა ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვილობა, საშუალოდ ერთ ორგანიზაციაზე ამათუმ ტექნიკის სახის რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, 2005 წელთან შედარებით 2010 წელს ორგანიზაციებს უფრო მეტი რაოდენობის კომპიუტერი, პრინტერი და ტელეფონი აქვთ.

ორგანიზაციებისთვის პრაქტიკულად აღარ წარმოადგენს პრობლემას ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. თუ ჯერ კიდევ 2005 წელს ორგანიზაციათა 25%-ს ინტერნეტით სარგებლობა არ შეეძლო საკუთარი ოფისიდან, 2010 წელს მათი წილი 9%-მდე შემცირდა. ამ შემთხვევაშიც კი უინტერნეტის მიზეზი კომპიუტერის არქონაა და არა ინტერნეტთან კავშირის.

დიაგრამა 62 ორგანიზაციების მიერ საოფისე ტექნიკის საშუალებების ფლობა, საშუალო მაჩვენებელი ერთ ორგანიზაციაზე, 2005-2010 წლები



3.7 კრიტერიუმი -- ადამიანური რესურსების მართვა

**ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 2,48 (2005 წ) 2,24 (2010 წ.)
ძირითადი შედეგები**


- ადამიანური რესურსების მართვის კრიტერიუმის მიხედვით გამოკითხულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საშუალო ქულა 2005-2010 წლის პერიოდში შემცირდა. სხვა კრიტერიუმებთან შედარებით, ამ კრიტერიუმში კლება ყველაზე უფრო საგრძნობია.
- ორგანიზაციების დაახლოებით მესამედს როგორც თბილისში, ისე რეგიონებში არ ჰყავთ მუდმივანაზღაურებადი თანამშრომლები.
- თბილისის ორგანიზაციებში რეგიონის ორგანიზაციებთან შედარებით საშუალოდ უფრო მეტი მუდმივანაზღაურებადი და დროებითი კადრია დასაქმებული, რეგიონებში კი უფრო მეტია მოხალისეობრივ საწყისზე მომუშავეთა საშუალო რაოდენობა.
- გამოკითხულ ორგანიზაციათაგან დაახლოებით ნახევარი იყენებს მოხალისეთა რესურსს (უფრო მეტად რეგიონებში). მოხალისეების ფუნქციები მკვეთრად გამოკვეთილია ორგანიზაციების მხოლოდ მესამედში, მათ ჰყავთ მოხალისეების ხელმძღვანელები.

- ლია კონკურსის წესით თანამშრომელთა მიღება უფრო მეტად დანერგილია თბილისის ორგანიზაციებში, თუმცა რეგიონის ორგანიზაციების მესამედზე მეტმა დაინტენტირება.
- თანამშრომელთა მომზადების გარკვეული სისტემა აქვთ ორგანიზაციათა ნახევარზე მეტს (53,7%). თუმცა ყველაზე გავრცელებულია უფასო სემინარებზე თანამშრომლების გაგზავნის პრაქტიკა. 2005 წელთან შედარებით მთლიანობაში მოიკლო კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საფასურის გადახდის შემთხვევებმა, ეს შემცირება ძირითადად თბილისის ორგანიზაციების ხარჯზე მოხდა (თუ 2005 წელს თბილისში გამოკითხული ორგანიზაციებიდან 47% მიმართავდა თანამშრომელთა გადამზადების ამ ფორმას, 2005 წელს იგივე მაჩვენებელი 14,6%-ს შეადგენს).
- 2010 წლის მონაცემებით, თანამშრომელთა წასვლის მიზეზი ყველაზე ხშირად არის შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფის პრობლემა. 2005 წლის მონაცემებით კი კადრის გადინების მთავარი მიზეზი იყო სახელმწიფო სტრუქტურებში გადასვლა.


მონაცემთა აღწერა

ადამიანური რესურსი ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციისათვის კრიტიკული და განმსაზღვრელი რესურსია. ადამიანური რესურსის კრიტერიუმის შეფასებაში კვლევის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მობილიზებული და შენარჩუნებული ადამიანური რესურსის (მათ შორის ანაზღაურებადი და მოხალისეობრივი რესურსის) რაოდენობრივ მაჩვენებლებზე; შერჩევის ფორმალიზებულ მექანიზმებზე, პროფესიული განვითარების მიზან-მიმართულობასა და ფორმებზე;

დიაგრამა 63 . ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ადამიანური რესურსების მართვის კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ.




დიაგრამა 64. თბილისის ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ადამიანური რესურსების მართვის კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ.



საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

ადამიანური რესურსების მართვის კრიტერიუმის მიხედვით გამოკითხულ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საშუალო ქულამ 2005-2010 წლების პერიოდში დაიკლო 2,48 (2005 წ) 2,24 (2010 წ). სხვა კრიტერიუმებთან შედარებით, ამ კრიტერიუმში კლება ყველაზე უფრო საგრძნობია.


დიაგრამა 65. რეგიონების ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ადამიანური რესურსების მართვის კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ



თბილისის ორგანიზაციების საშუალო ქულა 3,2-დან 2,5-დან 2,1-დან 2,06-მდე ჩამოვიდა, რეგიონების ორგანიზაციების საშუალო ქულა კი -- 2,1-დან 2,06-მდე. რეგიონებში კლება ძალიან უმნიშვნელოა, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კრიტერიუმის მიხედვით კლება, ძირითადად, თბილისის ორგანიზაციების მაჩვენებლითა განპირობებული.

რეგიონების მიხედვით საშუალო ქულების განხილვა გვაჩვენებს, რომ სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიასა და კახეთში ადამიანური რესურსების კუთხით მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მოხდა. შიდა ქართლსა და თბილისში კი მონაცემები საგრძნობლად გაუარესდა, სამეცნიეროსა და აჭარაში, სიტუაცია, ფაქტობრივად, არ შეცვლილა.

დიაგრამა 66. ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები რეგიონებში ადამიანური რესურსების მართვის კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ



ორგანიზაციის ადამიანური რესურსების შეფასებისას გაანალიზებულია ორგანიზაციის წევრების რესურსი, ანაზღაურებადი თანამშრომლები და მოხალისეობრივი რესურსი.

2005 წლის კვლევის მიხედვით, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე ადამიანური რესურსის 3 ტიპი გამოყო:

1. მუდმივშტატიანი ანაზღაურებადი თანამშრომლები;
2. პროგრამებში დროებით დასაქმებული ანაზღაურებადი თანამშრომლები;
3. მოხალისეები.


მოცემული დეფინიციები ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების პრაქტიკიდან გამომდინარეობს და ნაწილობრივ არ შეესაბამება გავრცელებულ ფორმალურ განსაზღვრებებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძირითადი ფინანსური წყარო დონორების მიერ გაცემული გრანტებია. თანამშრომლები პროექტებიდან იღებენ მიზნობრივ ანაზღაურებას ან ჰონორარებს, პროექტის დამთავრება, ხშირ შემთხვევაში, ინვევს თანამშრომლის ფორმალური სტატუსის ცვლილებას, ხოლო მისი რეალური მდგომარეობა ორგანიზაციის უცვლელი რჩება. ასეთი ტიპის თანამშრომლები „მუდმივშტატიანი ანაზღაურებადი თანამშრომლების“ ჯგუფში შედიან.

3.7.1 ორგანიზაციის წევრები, თანამშრომლები და მოხალისეები

გამოკითხული ორგანიზაციებიდან მესამედზე მეტს არ ჰყავს წევრები, დაახლოებით ორი მეხუთედი მცირენევრიანი ორგანიზაციაა (3-50 წევრი). იშვიათია მრავალწევრიანი ორგანიზაციები, 100 და მეტი წევრი ჰყავს გამოკითხულთა 13,8%-ს. ამ ჯგუფს ძირითადად მიეკუთვნებიან პროფესიული გაერთიანებები, ეკოლოგიური ორგანიზაციები, ამა თუ იმ ვიწრო სამიზნე ჯგუფთან (შშმპ, ქალები, დევნილები) მომუშავე ორგანიზაციები. სულ გამოკითხულ ორგანიზაციებში გაერთიანებულია 55,794 ადამიანი.

წევრთა საერთო კრების ყოველწლიური ჩატარების პრაქტიკა დანერგილია მხოლოდ ორგანიზაციათა 58%-ში. დანარჩენ ორგანიზაციებში წევრთა კრება ჩატარდა დაფუძნებისას ან ტარდება არარეგულარულად.


დიაგრამა 67. ორგანიზაციის წევრების რაოდენობა




საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

სულ გამოკითხულ ორგანიზაციებში გრძელვადიანი პერიოდით (ერთ წელი ან მეტი) დასაქმე-ბულია 2184 ადამიანი, დროებით დასაქმებულია 2245 ადამიანი. გამოკითხულ ორგანიზაციებში სულ მუშაობს 3,565 მოხალისე.

დიაგრამა 68. არასამთავრობო ორგანიზაციების ადამიანური რესურსების ჯამური მაჩვენებლები თბილისა და რეგიონებში




დიაგრამა 69. ორგანიზაციათა წილი, რომელთაც არ ჰყავთ ანაზღაურებადი პერსონალი / მოხალისე



ორგანიზაციების დაახლოებით მესამედს, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში არ ჰყავს მუდმივანაზღაურებადი თანამშრომლები, მოხალისეები არ ჰყავს თბილისის ორგანიზაციების თითქმის ნაცევარ, და რეგიონის ორგანიზაციების მესამედზე მეტს. დროებით დასაქმებულები (ერთ წელზე ნაკლები ვადით) უფრო მეტად ჰყავთ რეგიონის ორგანიზაციებს.


საშუალოდ ერთ ორგანიზაციაზე ადამიანური რესურსების რაოდენობა მცირედით გაიზარდა 2005 წელთან შედარებით: საშუალოდ ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში დასაქმებულია 9 მუდმივანაზღაურებადი თანამშრომელი და დროებით დასაქმებული თანამშრომელი. მოხალი-სეთა საშუალო რაოდენობა კი 15-ის ტოლია.

დიაგრამა 70. ადამიანური რესურსების საშუალო რაოდენობა, 2005-2010 წწ



თბილისის ორგანიზაციებში რეგიონის ორგანიზაციებთან შედარებით საშუალოდ უფრო მეტი მუდმივანაზღაურებადი და დროებითი კადრია დასაქმებული, რეგიონებში კი უფრო მეტია მოხალისეობრივ საწყისზე მომუშავეთა საშუალო რაოდენობა.

დიაგრამა 71. ადამიანური რესურსების საშუალო რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში



საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

გამოკითხულ ორგანიზაციათაგან დაახლოებით 52% იყენებს მოხალისეთა რესურსს.


იმ ორგანიზაციებში, რომლებშიც იყენებენ მოხალისეობრივ შრომას, მოხალისეები ეხმარებიან ხელფასზე მომუშავე თანამშრომლებს (67,6%), დანარჩენ ნაწილში კი მოხალისეებს აქვთ მკვეთრად გამოკვეთილი ფუნქციები და არ ხდება მომუშავე თანამშრომლების ფუნქციების დუბლირება (32,4%).

ცხრილი № 10. მოხალისეების როლი ორგანიზაციაში

რა ადგილი უკავიათ მოხალისეებს ორგანიზაციაში	%
მოხალისეები დროებით არიან უხელფასოდ და აკვირდებიან ორგანიზაციის მუშაობას (დასაქმების იმედით)	38,8
მოხალისეები არიან ის თანამშრომლები, რომელთაც ორგანიზაცია ხელფასით ვერ უზრუნველყოფს	6,8
მოხალისეები არიან ადამიანები, რომელთაც სურთ საკუთარი წვლილი შეიტანონ ორგანიზაციის საქმიანობაში, მათი მოტივაცია ანაზღაურება არ არის	54,4

მოხალისეთა მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი ორგანიზაციათა განცხადებით გააჩნია მხოლოდ 25%-ს (გამოკითხულთა 15%), დანარჩენ შემთხვევაში კი მოხალისეები სპონტანურად, დაუგეგმავად ჩნდებიან ორგანიზაციაში - ნაცნობ-მეგობრები, საკუთარი ინიციატივით მოსული პირები . . .


დიაგრამა 72. მოხალისეების მოზიდვის მექანიზმის არსებობა ორგანიზაციებში



ყველა მოხალისისთვის სამუშაო ადგილი გამოყოფილი აქვს ორგანიზაციათა 35%-ს, ნაწილისთვის -- 18,6%-ს, მცირე ნაწილისთვის --15%-ს, ხოლო საერთოდ არ აქვს ორგანიზაციათა 31,4%-ს. მათგან, რომლებსაც ჰყავს მოხალისეები, მესამედზე მეტში (36,3%) გამოყოფილია თანამშრომელი, რომელიც ხელმძღვანელობს მოხალისეობრივ პროგრამებს, მესამედს (33,3%) არ ჰყავს ასეთი ადამიანი, ორგანიზაციათა 30,4%-ში კი მოხალისეთა მართვას სხვადასხვა თანამშრომელი ითავსებს.

მოხალისეების განვითარებაზე მიზანმიმართულად ზრუნავს მხოლოდ 22% (იმ ორგანიზაციებიდან, რომლებსაც ჰყავს მოხალისეები), ძირითადად კი მოხალისეთა განვითარება სპონტანური პროცესია.

დიაგრამა 73. მოხალისეთა განვითარებაზე ზრუნვა




ორგანიზაციების თითქმის ნახევარი (48%) სრულად უნაზღაურებს მოხალისეებს სატრანსპორტო და საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს, დაახლოებით მეხუთედი (22%) კი -- მხოლოდ ნაწილობრივ.

3.7.2 კადრების შერჩევა, განვითარებაზე ზრუნვა, შენარჩუნება

ღია კონკურსის წესით თანამშრომელთა მიღება უფრო მეტად დანერგილია თბილისის ორგანიზაციებში, თუმცა რეგიონის ორგანიზაციების 44% იყენებს თანამშრომელთა შერჩევის ამ ფორმასაც. თანაბრად გავრცელებულია თანამშრომლის შერჩევა რეკომენდაციისა და მოხალისეებზე დაკვირვების საფუძველზე.


დიაგრამა 74. თანამშრომელთა შერჩევის ფორმები, თბილისისა და რეგიონის შედარება




საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

თანამშრომელთა მომზადების რაიმე (გარკვეული) სისტემა აქვს ორგანიზაციათა ნახევარზე მეტს (53,7%), თუმცა ყველაზე გავრცელებულია უფასო სემინარებზე თანამშრომლების გაგზავნის პრაქტიკა. კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საფასურის გადახდა შედარებით იმვიათია. თუმცა აქაც თბილისის ორგანიზაციებს უფრო მეტად აქვთ საშუალება თანამშრომლის მომზადებისთვის / სტაჟირებისთვის გადაიხადოს ფული. 2005 წელთან შედარებით მთლიანობაში მოკელო კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საფასურის გადახდის შემთხვევებმა, ეს შემცირება ძირითადად თბილისის ორგანიზაციების ხარჯზე მოხდა (თუ 2005 წელს თბილისში გამოკითხული ორგანიზაციებიდან 47% მიმართავდა თანამშრომელთა გადამზადების ამ ფორმას, 2005 წელს იგივე მაჩვენებელი 14,6%-ს შეადგენს).

დიაგრამა 75. ორგანიზაციებში თანამშრომელთა მომზადების ფორმები, თბილისი, რეგიონები, 2005-2010 წწ.




დიაგრამა 76. თანამშრომელთა მომზადების ფორმები



გასული 2 წლის განმავლობაში ორგანიზაციათა **40,6%-ში** თანამშრომელთა რიცხვი გაიზარდა, **44,4%-ში** პრაქტიკულად არ შეცვლილა, მხოლოდ მცირე ნაწილში (**15,1%**) შემცირდა თანამშრომელთა რაოდენობა. თანამშრომელთა წასვლის მიზეზი ყველაზე ხშირად ხდება შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფის პრობლემა. 2005 წლის მონაცემებით კი კადრის გადინების მთავარი მიზეზი იყო სახელმწიფო სტრუქტურებში გადასვლა.

დიაგრამა 77. თანამშრომლის წასვლის მიზეზები, 2005-2010 წწ



3.8 კრიტერიუმი - ფინანსური რესურსები, ფინანსური მდგრადობა

ინდექსი (საშუალო არითმეტიკული) - 2,6 (2005 წ) 2,63 (2010 წ)
ძირითადი შედეგები

- 2005 წელთან შედარებით, 2010 წელს ფინანსური რესურსების კრიტერიუმის საშუალო მაჩვენებელი უმნიშვნელოდ გაიზარდა; თბილისში ორგანიზაციების მაჩვენებელი დაკლებულია, ხოლო რეგიონებში - შედარებით მომატებული
- ისევე, როგორც 2005 წელს ორგანიზაციათა დიდი უმრავლესობისთვის დაფინანსების მთავარი წყარო კვლავ საერთაშორისო / ადგილობრივი დონორი ორგანიზაციებია.
- 2005 წელთან შედარებით გაიზარდა იმ ორგანიზაციათა წილი, რომელთაც ბოლო 2 წლის განმავლობაში სახელმწიფოს შეკვეთა/გრანტი მიიღეს. მნიშვნელოვნად შემცირებულია საწევრო გადასახადის წვლილი
- ჯამური ადგილობრივი დაფინანსება (საწევრო, შემოწირულობა კერძო პირისგან და ბიზნესიდან, სახელმწიფო შეკვეთა, საკუთარი შემოსავალი) ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლებში საშუალოდ 25%-ს შეადგენს, რაც ფინანსური სტაბილურობისა და დაცულობისთვის არც თუ ისე მაღალი მაჩვენებელია.
- დაფინანსების წყაროების რაოდენობის თვალსაზრისით, ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა. ორგანიზაციების უმეტესობას (61,3%) დაფინანსების მხოლოდ ერთი ტიპის წყარო აქვს
- არასამთავრობო ორგანიზაციების საერთო დაფინანსება ზრდადია. ამ მონაცემებს რეგიონების და თბილისის ჭრილში განხილვისას ჩანს რომ საკმაოდ დიდია თბილისისა და

რეგიონის ორგანიზაციების საერთო ჯამურ ბიუჯეტებს შორის სხვაობა. თუმცა ორივე ჯგუფში შეინიშნება ზრდის ტენდენცია.


- გამოკითხულთა ნახევარზე მეტს სამი წლის განმავლობაში მეტნაკლებად სტაბილური შემოსავლები აქვთ.
- ფინანსური ანგარიშების აუდიტის ჩატარების პრაქტიკა შედარებით გავრცელებულია თბილისის ორგანიზაციებში. რეგიონის ორგანიზაციების თითქმის ნახევარს არცერთხელ არ ჩატარებია აუდიტი, რაც, ძირითადად აუდიტის მომსახურების ფასთან არის დაკავშირებული.

მონაცემთა აღწერა

ფინანსური რესურსები ორგანიზაციის განვითარების და მდგრადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და კრიტიკული ასპექტია.

განვითარებულ ორგანიზაციებში აწყობილია როგორც ფინანსების მართვის: ბიუჯეტის დაგეგმვის, კონტროლის, ანგარიშების მექანიზმები, ასევე უზრუნველყოფილია ორგანიზაციის ფინანსური მდგრადობა და ფინანსური დაცულობა, რაც პირველ რიგში დაფინანსების წყაროების (ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საკუთარი შემოსავალი, სახელმწიფოს შეკვეთა, საწევრო, შემოწირულობა, გრანტი და ა.შ.) მრავალფეროვნებას გულისხმობს. ორგანიზაცია ფინანსურად შედარებით დაცულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუკი მისი დაფინანსების არცერთი წყარო არ იძლევა სახსრების 40%-ზე მეტს და ორგანიზაციაში მუდმივად არსებობს და მოქმედებს ადგილობრივი რესურსების მობილიზების სტრატეგია, რის შედეგადაც წლიური შემოსავლების გარკვეული პროცენტი ადგილობრივი რესურსებიდან შემოდის.

დიაგრამა 78 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ფინანსური რესურსების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010⁶⁶




2005 წელთან შედარებით, 2010 წელს უმნიშვნელოდ გაიზარდა (ფაქტიურად არ შეცვლილა) ორგანიზაციების საშუალო მაჩვენებელი ფინანსური რესურსების და ფინანსების მართვის კრიტერიუმის მიხედვით ($2,6 - 2005; 2,63 - 2010$)

თუმცა, თბილისში ორგანიზაციების საშუალო მაჩვენებელი დაკლებულია - 3.33-დან 3.09-მდე, ხოლო რეგიონებში შედარებით მომატებული - 2,3-დან 2,33-მდე


თუკი, მონაცემებს რეგიონების ჭრილში შევხედავთ, თვალსაჩინოა, რომ განსაკუთრებით მკვეთრი ზრდა ფინანსური რესურსების კრიტერიუმის მიხედვით შეინიშნება ისევ და ისევ სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობს თბილისი, გურია, იმერეთი. ფინანსური რესურსების ქვეკრიტერიუმის მიხედვით საშუალო მაჩვენებლის კლება დაფიქსირდა მხოლოდ, თბილისა და შიდა ქართლში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა გაცვითარების ანგარიში


დიაგრამა 79 თბილისის ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ფინანსური რესურსების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ



დიაგრამა 80 რეგიონების ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ფინანსური რესურსების კრიტერიუმის მიხედვით 2005-2010წწ



დიაგრამა 81 ორგანიზაციების შეფასების შედარებითი მაჩვენებლები ფინანსური რესურსების კრიტერიუმის მიხედვით რეგიონების ჭრილში 2005-2010წწ




3.8.1 ფინანსური მდგრადობა, დაფინანსების წყაროების მრავალფეროვნება

ისევე, როგორც 2005 წელს ორგანიზაციათა უმრავლესობისთვის დაფინანსების მთავარი წყარო კვლავ საერთაშორისო ორგანიზაციების/ფონდებისა და დასავლური ფონდების მიერ დაარსებული ქართული ფონდებისგან მიღებული გრანტებია. 2005 წელთან შედარებით გაიზარდა იმ ორგანიზაციათა ნილი (22%), რომელთაც სახელმწიფოს შეკვეთა/გრანტი მიუღიათ ბოლო 2 წლის განმავლობაში. თუმცა ამ ორგანიზაციების წლიურ ბიუჯეტში დაფინანსების ამ წყაროს მოცულობა როგორც წესი არ აღემატება 30%-ს.

გამოკითხულმა ორგანიზაციებმა სულ დასახელეს 200-ზე მეტი დონორი ორგანიზაცია, მათგან ყველაზე ხშირად დასახელებულია 17 ორგანიზაცია (10-ი და მეტი დასახელება). ორგანიზაციების მიერ დასახელებული დონორების დაჯგუფების შედეგად, გამოვლინდა, რომ ყველაზე ხშირად ქართულ საზოგადოებრივ სექტორს აფინანსებენ შემდეგი ტიპის დონორები:


- საერთაშორისო ფონდები
- დასავლური ფონდების მიერ დაარსებული ქართული ფონდები („ლია საზოგადოება - საქართველო“, „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“.)
- საერთაშორისო განვითარების სააგენტოები და სამინისტროები
- სხვა ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები
- საელჩოები (საფრანგეთის, იაპონიის, ნიდერლანდების, ჰოლანდიის, ამერიკის...)

დიაგრამა 82 დაფინანსების წყაროები




ყველაზე ხშირად დასახელებულ დონორ ორგანიზაციებში მოხვდნენ : ფონდი ”ლია საზოგადოება - საქართველო“ (7,9%), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (5,8%) და ევროკომისია (5,2%)

დიაგრამა 83 ყველაზე ხშირად დასახელებული დონორი ორგანიზაციები



2005 წელთან შედარებით გაზრდილია სახელმწიფოს შეკვეთები/გრანტი (14,1%-დან 22.1%-მდე) და მნიშვნელოვნად შემცირებულია საწევრო გადასახადის წვლილი (33,1%-დან 13,3%-მდე);


დიაგრამა 84 ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები, 2005-2010 წლები



ორგანიზაციათა შემოსავლის მთავარ წყაროს კვლავ დონორებისგან მიღებული გრანტები წარმოადგენს, ორგანიზაციათა 72,9%-თვის გრანტებით მიღებული შემოსავალი ბიუჯეტის 50-100%-ს შეადგენს. ეს ფაქტორი მათ ფინანსურ სტაბილურობასა და დაცულობაზე არასახარ-ბიელოდ აისახება.


საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

დიაგრამა 85 ორგანიზაციათა დაფინანსების წყაროები, ბიუჯეტში წვლილის მიხედვით




ორგანიზაციების ფინანსური სტაბილურობის უკეთესად გასაანალიზებლად, 2010 წლის კვ-ლევაში ცალკე მოხდა ადგილობრივი (სანევრო, შემონირულობა კერძო პირისგან და ბიზნესიდან, სახელმწიფო შეკვეთა, საკუთარი შემოსავალი) და საგრანტო წყაროების ბიუჯეტში წილის დაანგარიშება. გამოიკვეთა, რომ ჯამური ადგილობრივი დაფინანსება ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლებში საშუალოდ 25%-ს შეადგენს, რაც ფინანსური სტაბილურობისა და დაცულობისთვის არც თუ ისე მაღალი მაჩვენებელია.

დიაგრამა 86 ორგანიზაციათა დაფინანსების წყაროები - გრანტი / ადგილობრივი დაფინანსება პროცენტული განაწილება




დიაგრამა 87 ორგანიზაციათა დაფინანსების წყაროები - გრანტი / ადგილობრივი დაფინანსება - მოცულობა




დაფინანსების წყაროების რაოდენობის თვალსაზრისით, ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ასევე არასახარბიერო მდგომარეობაა. ორგანიზაციების უმეტესობას (61,3%) დაფინანსების მხოლოდ ერთი ტიპის წყარო აქვს (ძირითადად - გრანტი). დაფინანსების 2 ტიპის წყარო სულ 21,3%-ს გააჩნია, ხოლო 3 და მეტი ტიპის - 9,6%-ს

დიაგრამა 88 ორგანიზაციათა დაფინანსების წყაროების რაოდენობა



საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

დღიაგრამა 89 დაფინანსების მხოლოდ ერთი წყაროს მქონე ორგანიზაციების განაწილება წყაროს მიხედვით




ის ორგანიზაციები, რომლებსაც დაფინანსების მხოლოდ ერთი წყარო გააჩნია, დაფინანსებას ძირითადად გრანტის სახით იღებენ (83,7%), მხოლოდ სახელმწიფო შეკვეთა აქვს ორგანიზაციების 6,8%-ს, და მხოლოდ საკუთარი შემოსავალი - 3,4%

ორგანიზაციებს საკუთარი შემოსავალი აქვთ შემდეგი ტიპის აქტივობებიდან:

- სხვადასხვა სახის სასწავლო კურსების ორგანიზება
- ფართის გაქირავება, მიწის / შენობის იჯარა
- ინტერნეტ მომსახურების ცენტრი
- გაზეთის გაყიდვა
- რეკლამა
- მარკეტინგული კვლევა
- სპექტაკლიდან შემოსული თანხა
- ფილმების დამზადება
- გამოფენა-გაყიდვები
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვა
- წიგნების დისტრიბუცია
- პუბლიკაციების გაყიდვა
- ბუღალტერთა სერტიფიცირება
- სტამბა
- კომპიუტერული ტექნიკის შეკეთება
- ბიზნეს გეგმების შედგენა
- მაღაზია

იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ჯამური შემოსავლის წილი ორგანიზაციათა წლიურ შემოსავალში თბილისის და რეგიონის ორგანიზაციებისთვის დაახლოებით 12%-ს შეადგენს.


დიაგრამა 90 ორგანიზაციათა სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლები, ჯამური მაჩვენებელი, წილი მთლიანი ბიუჯეტიდან, 2009 წელი



თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოცულობით თბილისის ორგანიზაციების შემოსავალი 2,5-ჯერ აღემატება რეგიონებისას (თბილისში: 2 759 906 000 აშშ დოლარი, რეგიონებში - 1 075 261 აშშ დოლარი). ანუ, საქართველოს მასშტაბით, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული საშუალო წლიური შემოსავლის 72% მოდის თბილისის ორგანიზაციებზე, და 28%-რეგიონის ორგანიზაციებზე.


3.8.2. შემოსავლის მოცულობა; შემოსავლების ზრდის დინამიკა და დაფინანსების უწყვეტობა

დიაგრამა 91 გამოკითხულთა 2009 წლის წლიური ბიუჯეტის მოცულობა



იმისათვის რომ რესპონდენტებისთვის უფრო კომფორტული ყოფილიყო წლიური ბიუჯეტის შესახებ კითხვაზე პასუხის გაცემა, კითხვარში მითითებული იყო თანხების დიაპაზონები, შესაბამისად რესპონდენტები არ ასახელებდნენ ბიუჯეტის ზუსტ მოცულობას. ამდენად ორგანიზაციათა წლიური ბიუჯეტის დინამიკის შეფასებისთვის გამოვიყენეთ ე.წ. საშუალო აწონილი მაჩვენებელი. საორიენტაციო თანხად ავიღეთ თანხის დიაპაზონის შუა წერტილი. მაგ.: დიაპაზონისთვის 1000-5000\$, შუა წერტილი არის 3000\$. ამ მიდგომით დათვლილი იქნა ყველა გამოკითხული ორგანიზაციების წლიური ბიუჯეტის ჯამური მაჩვენებლები 2007, 2008 და 2009 წლებისთვის. მიღებული ციფრები ცხადყოფს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების საერთო დაფინანსება ზრდადია. ამ მონაცემებს რეგიონების და თბილისის ჭრილში განხილვისას ჩანს რომ საკმაოდ დიდია თბილისისა და რეგიონის ორგანიზაციების საერთო ჯამურ ბიუჯეტებს შორის სხვაობა. თუმცა ორივე ჯგუფში შეინიშნება ზრდის ტენდენცია.

დიაგრამა 92 გამოკითხულთა წლიური ბიუჯეტის მოცულობის დინამიკა, ჯამური მაჩვენებელი, 2007-2009 წლები, თბილისის და რეგიონების შედარება



ბიუჯეტის დინამიკის მხრივ გამოვყავით შემდეგი ჯგუფები:

1 - ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსება სტაბილურია ბოლო ორი წლის განმავლობაში მაინც

2 - ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსების მოცულობა იზრდება ბოლო ორი წლის განმავლობაში მაინც

3-ორგანიზაციები, რომელთა დაფინანსების მოცულობა მცირდება

4 - ორგანიზაციები, რომელთაც არასტაბილური დაფინანსება აქვთ, რომელიმე წელს ბევრად მეტი ქონდათ, ვიდრე დანარჩენ წლებში. ან რომელიმე წელს საერთოდ ვერ მოახერხეს თანხების მობილიზება


5 - ორგანიზაციები, რომელთაც სამი წლიდან ერთ-ერთ წელს არ ქონდათ ან პრაქტიკულად არ ქონდათ დაფინანსება (0-1000 \$-მდე)

6- ორგანიზაციები, რომელთაც დაჯგუფება დაფინანსების დინამიკის კუთხით ვერ მოხერხდა (არ დაასახელეს შემოსავლები, 2007 წლის შემდეგ დარეგისტრირებულები)

გამოკითხულთა ნახევარზე მეტს სამი წლის განმავლობაში მეტნაკლებად სტაბილური შემოსავლები აქვთ. ამ პერიოდის განმავლობაში შემოსავლები წლიდან წლამდე გაეზარდა ორგანიზაციათა 15%, ხოლო შეუმცირდა 5,8%-ს. დაახლოებით ყოველ მეათე (11,3%) ორგანიზაციის


შემოსავლები არასტაბილურია წლიდან წლამდე, შესწავლილი რომელიმე წლიდან ჰქონდა ბევრად მეტი, ვიდრე სხვა წელს.

დიაგრამა 93 ორგანიზაციის ჯგუფები, 2007-2009 წლებში ორგანიზაციის წლიური შემოსავლების დინამიკის მიხედვით



ორგანიზაციათა უმეტესობას დაფინანსების წყვეტა არ ქონდათ ან ჰქონდა მცირე პერიოდის განმავლობაში (არაუმტეს 2 თვისა).

დიაგრამა 94 დაფინანსების წყვეტის ხანგრძლივობა



დაფინანსების წყვეტის შემთხვევაში ორგანიზაციების უმეტესობა (43,1%) საქმიანობას მოხალისეობრივად აგრძელებს, სამეწარმეო საქმიანობის ხარჯზე საქმიანობას წარმართავს 20,8%, ხოლო ორგანიზაციის წევრების შემონირულობებით / პარალელურად სხვა ადგილას მუშაობის ხარჯზე მოქმედებს ორგანიზაციების 27,8%.


საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

ცხრილი № 11 დაფინანსების წყვეტის შემთხვევაში როგორ ინარჩუნებენ ორგანიზაციას

	ვალიდური %
სამეცნიერო შემოსავალი (კომპიუტერული კურსები, ფილმების დამზადება, გაზეთის გამოშვება, კონსულტაციები ბიზნესისთვის, ტრენინგები, პუბლიკაციების გაყიდვა)	20,8
ორგანიზაციის წევრთა შემოწირულობები / პარალელურად მუშაობენ სხვა ადგილზე	27,8
მოხალისეობრივი შრომა	43,1
კერძო / ბიზნეს შემოწირულობები	2,8
საწევრო	2,8
პარტნიორი ორგანიზაციის დახმარება	2,8

3.8.3. ფინანსების მართვა, ბიუჯეტის დაგეგმვა, აუდიტი


დიაგრამა 95 წლიური ბიუჯეტის დაგეგმვა, რეგიონის და თბილისის ორგანიზაციები, 2005-2010 წლები



მომავალი წლის ბიუჯეტს გეგმავს თბილისის ორგანიზაციების 49% და რეგიონის ორგანიზაციების 35,4%.


მათგან ვინც გეგმავს წლიურ ბიუჯეტს, დაგეგმილი ბიუჯეტის დიდი %-ით (90% და მეტი) შესრულება შესძლო 54,4%-მა.

დიაგრამა 96 რა %-ით შეასრულეს დაგეგმილი ბიუჯეტი თბილისის და რეგიონის ორგანიზაციებმა



ფინანსური ანგარიშგების, აუდიტის ჩატარების პრაქტიკა შედარებით გავრცელებულია თბილისის ორგანიზაციებში. რეგიონის ორგანიზაციების თითქმის ნახევარს არცერთხელ არ ჩატარებია აუდიტი. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ამ სერვისის სიძვირე. მცირე ბიუჯეტიანი ორგანიზაციებისთვის აუდიტის ჩატარება გაუმართლებელი ფუფუნებაა.

დიაგრამა 97 აუდიტის ჩატარების პრაქტიკა



საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკური საქმიანობა

ძირითადი შედეგები

- ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეკონომიკურ საქმიანობას 90-ანი წლების დასაწყისიდან ეწევიან, თუმცა, ეკონომიკური საქმიანობის დაწყების შემთხვევებმა საგრძნობლად მოიმატა 2005-2008 წლებში.
- 2010 წლის კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციებიდან ეკონომიკურ საქმიანობას (ძირითადად, მომსახურების გაყიდვას (91%) და პროდუქციის გაყიდვა (26,5%)) - დაახლოებით ორგანიზაციების მეხუთედი აწარმოებს.
- ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის გამოცდილების მქონე ორგანიზაციების საერთო შემოსავალში (2009 წელი) ამ საქმიანობით მიღებული შემოსავლის წილი ყველაზე ხშირად 5-დან 30%-მდე შეადგენს (ორგანიზაციების 51%)
- ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციების უმეტესობის (65%) საერთო შემოსავალი 2009 წლისთვის 50 000-ს აშშ დოლარს აღემატება.
- ძირითადად, ორგანიზაციები ეკონომიკურ საქმიანობას ორგანიზაციის ფარგლებში ეწევიან (76 %), ცალკე საწარმო დაფუძნებული აქვს 24%, საიდანაც ორ მესამედზე მეტს არჩეული აქვს შპს-ს ფორმა.
- ეკონომიკური საქმიანობის სოციალურ მენარმეობად მიჩნევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ამ საქმიანობის მიზანი წარმოადგენს. სოციალურ მენარმეობად მიიჩნევა ისეთი ტიპის საქმიანობა, რომელიც ძირითადად სოციალური მიზნების განხორციელებას, და არა მოგების მიღებას ემსახურება. ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნიათ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის გამოცდილება, ამ საქმიანობის დაწყების ძირითად მოტივად ორგანიზაციის ფინანსურ სტაბილურობას ასახელებენ, დაახლოებით ორი მეხუთედი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური საქმიანობის დაწყების მიზანი პროგრამული მიზნების განხორციელებაა; ეკონომიკური საქმიანობის მქნე ორგანიზაციების უმეტესობა თვლის, რომ მათი ორგა-


ნიზაციებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის საქმიანობის არსებობა, როგორც პროგრამული მიზნების მიღწევის, ასევე ორგანიზაციის იმიჯისა და ფინანსური მდგრადობის/ავტონომიისათვის.

- ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება გამოკითხული ორგანიზაციების 66%-ში მთლიანად თავად ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსული თანხებით ხდება, ხოლო 34%-ში ეკონომიკური საქმიანობა ნაწილობრივ სხვა წყაროებიდანაც ფინანსდება (დონორებიდან შემოსული თანხები, სახელმწიფოს თანადაფინანსება, შემოწირულობები და ა.შ.)
- ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისათვის საჭირო პირველადი ინვესტიციები (როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური) ყველაზე ხშირად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო განხორციელებული
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ წარმართულ ეკონომიკურ საქმიანობაში დასაქმებულია 700-მდე ადამიანი. ყველაზე ხშირია შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციას ეკონომიკურ საქმიანობაში დასაქმებული ყავს 7-დან 10 ადამიანამდე. ძირითადად, საკუთარი თანამშრომლები, მოწვეული სპეციალისტები და ცალკეულ შემთხვევებში - ბენეფიციარები.
- ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს ორგანიზაციები ძირითადად საკუთარი ცოდნის და პრაქტიკის გაღრმავება და განვითარებასა და პროფესიული ზრდაში ხედავენ. გარდა ამისა, პერსპექტიულ ინიციატივებად დასახელდა ბიზნეს ინკუბატორების, სესხის საგრანტო ფონდების შექმნა; მთავრობასთან თანამშრომლობა;

მონაცემთა აღწერა


სულ 2010 წლის კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციებიდან ეკონომიკურ საქმიანობას 21% ანარმოებს. აღნიშნული ორგანიზაციები ძირითადად ეწევიან მომსახურების გაყიდვას (91,8%), საქმიანობის, პროდუქციის გაყიდვას (26,5%), უძრავი ქონების გაქირავებას (16,3%). კატეგორიაში სხვა, დასახელდა საკუთარი რადიო, მიკროსაფინანსო სესხების გაცემა.

დიაგრამა 98 ეკონომიკური საქმიანობის ტიპი - პროცენტული მაჩვენებლები




ეკონომიკური საქმიანობის დაწყების შემთხვევები საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შედარებით 2005 წლიდან გახშირდა (2005-2010 წლის პერიოდში ეკონომიკური საქმიანობა წამოიწყო 48,9%-მა), თუმცა არის ორგანიზაციები, რომლებიც მსგავს საქმიანობას 90-ანი წლების დასაწყისიდან ეწევიან.

დიაგრამა 99 შეკითხვა - რომელი წლიდან ეწევით ეკონომიკურ საქმიანობას (პროცენტული მაჩვენებელი)



იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან, ეკონომიკური საქმიანობის წილი ჯამურ შემოსავალში, ყველაზე ხშირად (51%-ში) 5-დან 30%-მდე შეადგენს, თუმცა არის შემთხვევები (13%), როდესაც ეკონომიკური საქმიანობის წილი ორგანიზაციის ბიუჯეტში 50-100%-ს შეადგენს. ასეთი ორგანიზაციების წლიური ბიუჯეტი უმეტესად (50%-ში) 5000-10 000მდე ფარგლებში მერყეობს.


დიაგრამა 100 სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის წილი მთლიან შემოსავალში (პროცენტული მაჩვენებელი)




ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციების საერთო წლიური შემოსავალი (შესრულებული ბიუჯეტი) 2009 წლისთვის უფრო ხშირად (39,1%) 100 000-დან - 500 000-მდე შუალედშია განთავსებული; ანუ, ეკონომიკურ საქმიანობას, უფრო ხშირად მსხვილ ბიუჯეტიანი ორგანიზაციები ეწევიან.

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

დიაგრამა 101 ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციების შემოსავალი 2009 წლისთვის (პროცენტული მაჩვენებელი)



დიაგრამა 102 რა ფორმით ეწევიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეკონომიკურ საქმიანობას (პროცენტული მაჩვენებელი)




ძირითადად, ორგანიზაციები ეკონომიკურ საქმიანობას ორგანიზაციის ფარგლებში ეწევიან (76%), ცალკე საწარმო დაფუძნებული აქც 24%. აქედან 16% ეკონომიკურ საქმიანობას მხოლოდ საწარმოს ფარგლებში ეწევა, ხოლო 8%, როგორც საწარმოს, ასევე ორგანიზაციის ფარგლებშიც. მათ შორის, ვისაც დაფუძნებული აქც ცალკე საწარმო, უმეტესობას (72,7%) არჩეული აქც შპს-ს ფორმა. გარდა შპს-სა, დაფიქსირდა ცალკე საწარმოდ რეგისტრაციის სპს-ს და კოოპერატივის ფორმები.

შეკითხვაზე, როგორ გადაწყდა საწარმოს ასეთი ფორმით რეგისტრაცია, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პირებმა უპასუხეს, რომ გარკვეულწილად, ეს განაპირობა მომგებიანი და არამომგებიანი

საქმიანობის გამიჯვნის აუცილებლობამ, როგორც საგადასახადოსთან ურთიერთობის გამარტივების, ასევე მართვის გაუმჯობესების, შიდა სისტემების გამართვის თვალსაზრისით. ხშირად, ასეთ რჩევას, ორგანიზაციას აუდიტებიც აძლევენ ხოლმე, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ დონორებს ხშირად, ცალკე საწარმოს დაარსების შემთხვევაში ნაკლები გამჭვირვალობის წარმოქმნის საფრთხე აფიქრებთ ხოლმე.

ეკონომიკური საქმიანობის სოციალურ მენარმეობად მიზნევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას ამ საქმიანობის მიზანი წარმოადგენს. სოციალურ მენარმეობად მიზნევა ისეთი ტიპის საქმიანობა, რომელიც ძირითადად სოციალური მიზნების განხორციელებას, და არა მოგების მიღებას ემსახურება.

დიაგრამა 103 ეკონომიკური საქმიანობის დაწყების მიზანი




შეკითხვაზე, რა მიზნით დაიწყეთ ეკონომიკური საქმიანობა, ორგანიზაციების ხელმძღვანელების უმეტესობამ (82,1%) უპასუხა, რომ ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების ძირითადი მოტივი, ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის მიღწევა იყო. 41% ეკონომიკური საქმიანობის დაწყების მიზნად პროგრამების განხორციელებას ასახელებს (რადგან, ხშირად, ორგანიზაციის კონკრეტული პროგრამული მიზნები დონორების პრიორიტეტებში არ ჯდება და რთულია დაფინანსების მოპოვება დონორებიდან), ხოლო 17,9% აღნიშნავს, რომ უპრალოდ გააჩნდათ მსგავსი რესურსი და ბაზარზე არსებულ მოთხოვნას უპასუხეს.

ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციების უმეტესობა (55%) აღნიშნავს, რომ მათი ორგანიზაციებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის საქმიანობის არსებობა, რადგან ეკონომიკური შემოსავალი აფინანსებს (თანააფინანსებს) მიმდინარე პროგრამებს და ამ გზით წვლილი შეაქვს პროგრამული მიზნების მიღწევაში; ორგანიზაციას აძლევს სტაბილურობის განცდას; გრანტის არარსებობის შემთხვევაში ორგანიზაციის დაფინანსება მთლიანად კომერციული საქმიანობის ხარჯზე ხდება; გარდა ამისა, მსგავსი ტიპის საქმიანობას დიდი გამოხმაურება აქვს, ბევრი ინტერესდება, ხდება კონკრეტული სფეროს პოპულარიზაცია;

მომსახურებაში, რომელსაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ეწევიან ყველაზე ხშირად დასახელდა სასწავლო კურსები, კომპიუტერული კლასები (29,35%); მომსახურების ცენტრები (29,5%), საექსპერტო, ტრენინგ, საკონსულტაციო (27,3%; 25%) და მედია მომსახურება (25%); შედარებით ნაკლებად გავრცელებული ფორმაა ფართის გაქირავება (13,6%); სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, რეალიზაცია (11,4%); შემოქმედებითი სკოლა, თეატრი, ღონისძიებების ორგანიზება (9,1%); ბეჭდვითი პროდუქციის წარმოება და გაყიდვა (9,1%; 6,8%); ერთეული ორგანიზაციები ეწევიან ხელნაკეთი ნივთების წარმოებასა და გაყიდვას (4,5%); აქვთ ფასიანი სკოლა, ბალი (4,5%), ფარმაცევტული ბიზნესი (2,3%)

საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში


დიაგრამა 104 ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხეული მოსმახურების, საქონლის, პროდუქციის ტიპი



საინტერესო იყო დაგვედგინა, ვინ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი დამკვეთი (ვინ იხდის ფულს მომსახურებასა და პროდუქციაში) და ასევე ვინ არის ძირითადი მომხმარებელი. რამდენად ხშირად არის გაერთიანებული ეს ორი კატეგორია ერთ ჯგუფში, ანუ რამდენად ხშირადაა დამკვეთი და მომხმარებელი ერთი და იგივე პირი/ორგანიზაცია.

2010 წლის გამოკითხვის შედეგებით დადგინდა, რომ ძირითადი დამკვეთი და მომხმარებელი ერთი და იგივეა შემთხვევების 32,6%-ში. ანუ, თავად მომხმარებელი იხდის მიღებული მომსახურებისა თუ პროდუქციის საფასურს. ორგანიზაციების 39,5%-ში დამკვეთი და მომხმარებელი შერეულია, ანუ დაახლოებით ნახევარი/ნახევარზე, მომსახურების ნაწილს იხდის დამკვეთი და ნაწილს მომხმარებელი. დამკვეთი და მომხმარებელი უმეტესად გამიჯნულია ორგანიზაციების 27,9%-ში, ანუ მომსახურების საფასურს იხდის ერთი, ხოლო თავად მომსახურებით/პროდუქციით სარგებლოს მეორე/სხვა - პირი/ორგანიზაცია.


დიაგრამა 105 ეკონომიკური საქმიანობის დამკვეთი და მომხმარებელი (პროცენტული მაჩვენებელი)




საზოგადოებრივი ორგანიზაციათა გაცვითარების ანგარიში

ძირითად დამკვეთებში, ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის გამოცდილების მქონე ორგანიზაციებმა დაასახელეს: სერვისის მიმღები კონკრეტული სამიზნე ჯგუფები (85%) (ორგანიზაციები ან კერძო პირები, მათ შორის: სკოლები, მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები, მოიჯარები, ფერმერები, კრედიტორები და ა.შ.); საერთაშორისო ფონდები, ორგანიზაციები (40%); ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციები, უწყებები, საჯარო დაწესებულებები (30%); ადგილობრივი ბიზნესი (25%); ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები / ფონდები (17.5%) საერთაშორისო განვითარების სააგენტოები და სამინისტროები, საელჩოები (7.5%) ადგილობრივი მედია (2.5%) ადგილობრივი პოლიტიკური პარტიები (2.5%)

დიაგრამა 106 ეკონომიკური საქმიანობის დამკვეთი (პროცენტული მაჩვენებელი)



დიაგრამა 107 ეკონომიკური საქმიანობის მომსმარებელი (პროცენტული მაჩვენებელი)




საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

მომსახურების, პროდუქციის უშუალო მომხმარებლად დასახელდა: სერვისის მიმღები კონკრეტული სამიზნე ჯგუფები (75.7%) - მათ შორის: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; დევნილები; ლტოლვილები; ქალები; ბავშვები; ახალგაზრდობა; სოციალურად დაუცველი მოსახლეობა; მოხუცები; ფერმერები; სოფლის და ქალაქის მოსახლეობა; პედაგოგები; მასწავლებლები; მოჯარები;

კრედიტორები; ადგილობრივი ბიზნესი (12.9%); ადგილობრივი სამთავრობო ორგანიზაციები, უწყებები, საჯარო დაწესებულებები (8.6%); საერთაშორისო ფონდები, ორგანიზაციები (2.9%); ადგილობრივი მედია (1.4%)


შეკითხვაზე, ვისი ინვესტირებით (ფინანსების, ტექნიკის, კონკრეტული ცოდნის/ექსპერტიზის) განხორციელდა ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის პოტენციალის განვითარება, მიღებული პასუხები 6 კატეგორიად გადანაწილდა. საერთაშორისო ორგანიზაციები (საერთაშორისო ორგანიზაციები ყველაზე ხშირად დასახელდა როგორც ფინანსური, ტექნიკური და სხვა სახის ინვესტორები); თავად ორგანიზაცია, მოგებიდან; კერძო პირები; სახელმწიფო; ბიზნესორ-განიზაციები და ადგილობრივი ფონდები

დიაგრამა 108 ინვესტორები, რომლებმაც ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობაში მოახდინეს ფინანსური და ტექნიკური ინვესტიციება (სიხშირები)



ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება გამოკითხული ორგანიზაციების 66%-ში მთლიანად თავად ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსული თანხებით ხდება, ხოლო 34%-ში ეკონომიკური საქმიანობა ნაწილობრივ სხვა წყაროებიდანაც ფინანსდება (დონორებიდან შემოსული თანხები, სახელმწიფოს თანადაფინანსება, შემონირულობები და ა.შ.)

დიაგრამა 109 ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსების წყაროები (პროცენტული მაჩვენებელი)




■ მთლიანად გაონომიკური საქმიანობიდან შემოსული თანხებით ფინანსდება
■ ნაწილობრივ ფინანსდება სხვა წყაროდან

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ მოგებას ორგანიზაციები ძირითადად პროგრამების თანადაფინანსებაზე, რეზერვის შექმნაზე, თანამშრომლების წახალისებასა და ხელფასებზე, ორგანიზაციულ განვითარებასა და რეინვესტირებაზე მიმართავენ

ორგანიზაციები, ეკონომიკურ საქმიანობაში ძირითადად საკუთარ თანამშრომლებს ასაქმებენ (87.8%); გარდა ამისა, საკმაოდ გავრცელებულია სპეციალისტების მოწვევის პრაქტიკა (51.2%); ბენეფიციარებს, ეკონომიკური საქმიანობის მქონე ორგანიზაციების მხოლოდ 12% ასაქმებს.

დიაგრამა 110 შეკითხვა- ვინ არის დასაქმებული ეკონომიკურ საქმიანობაში (პროცენტული მაჩვენებელი)



სულ, 2010 წლის გამოკითხვაში მონაწილე ორგანიზაციებში, რომლებიც ენევიან ეკონომიკურ საქმიანობას, კონკრეტულად ეკონომიკურ საქმიანობაში დასაქმებულია 699 ადამიანი. ეკონომი-


საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

კურ საქმიანობაში დასაქმებულ ადამიანთა მაქსიმალური რაოდენობა ერთ ორგანიზაციაზე არის 165, ხოლო მინიმალური - 1. საშუალოდ, ორგანიზაციებში ეკონომიკურ საქმიანობაში დასაქმებულია 17 ადამიანი. ყველაზე მეტად გავრცელებულია შემთხვევები, როდესაც ეკონომიკურ საქმიანობაში დასაქმებულია 7-დან 10 ადამიანამდე.

ცხრილი № 12 რამდენი თანამშრომელი დასაქმებული ეკონომიკურ საქმიანობაში

	მინიმუმი	მაქსიმუმი	საშუალო	მედიანი
რამდენი ადამიანია დასაქმებული კომერციულ საქმიანობაში	1	165	17.04878	7

დღიაგრამა 111 ეკონომიკური საქმიანობაში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა - რანგები (პოტენტული მაჩვენებელი)



შეკითხვაზე, რა პრობლემებს აწყდებით ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის კუთხით, მიღებული პასუხები რამდენიმე კატეგორიაში გაერთიანდა:

კანონმდებლობის და საგადასახადოს კუთხით წარმოქმნილ პრობლემებში, ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა დაასახელეს შემდეგი ტიპის პრობლემები :

- "ეკონომიკური საქმიანობის წარმართვის უფლების განმარტება „შეუძლია აწარმოოს ეკონომიკური საქმიანობა, თუ ის არსებითად არ გადადის ეკონომიკურ საქმიანობაზე“ არის პოტენტული პრობლემა, რადგან ინტერპრეტაციის საგანია; ”
- "მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს რეზიუმეს ხარჯში არ უთვლიან, ამიტომ მთლიანად იბეგრება, როგორც მოგება; ”
- "არ არსებობს შეღავათები შშმპ პირების მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე; ”
- "ქონების გადასახადის გამოთვლა არის ინტერპრეტაციის საგანი; ”
- "რთულია გადასახადების ადმინისტრირება, განაკვეთების გამოანგარიშება; ”გაურკვეველი დაბეგვრის სისტემა ქონების გადასახადსა და მოგების გადასახადზე; ”
- "შემოსავლების და ხარჯების აღიარების საკითხი; მოგების დათვლა, როცა ორგანიზაცია დოტ-აციაზე; ”

ადამიანური რესურსების კუთხით -ორგანიზაციებს შემდეგი ტიპის პრობლემები ექმნებათ:

- "რთულია კარგი რესურსის შენარჩუნება და კვალიფიციური კადრის სათანადო ხელფასით უზრუნველყოფა; ”
- "რეგიონებში მწვავედ დგას არასაკმარისი კვალიფიკაცია, დარგის სპეციალისტების სიმწირე; ”

მენეჯმენტის კუთხით - „რთულია გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რადგან სიტუაცია ითხოვს საშუალოვადიანი გეგმების არსებობას და დღევანდელ კონიუქტურაზე მორგებას;“ ორგანიზაციების ნაწილმა პრობლემად მიიჩნია მარკეტინგული გეგმის არ არსებობა; სტრუქტურის გაუმართავობა;

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებისა, პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა და ბალანსის დაცვა ბიზნეს და სოციალურ საქმიანობას შორის;

შეკითხვაზე, „რა ტიპის ხელშეწყობა დაგეხმარებოდათ ეკონომიკური საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვაში“, შემდეგი ტიპის პასუხები დაფიქსირდა:

გადამზადება, ტრენინგი, კონსულტირება, გამოცდილების გაზიარება - „ტრენინგი და კონსულტირება შემოსავლის მომტანი საქმიანობის წარმართვაზე, მართვის საკითხებზე, მარკეტინგის თემაზე - დაგვეხმარება უკეთ გავერკვეთ ამ ტიპის საქმიანობის წარმართვაში;“ „კონსულტირება - შემოსავლის მომტანი საქმიანობის წარმართვაში“; „სხვა ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარება, როგორ შეიძლება სინთეზი - სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობის“; „მარკეტინგის სპეციალისტის დახმარება“; „ინფორმაციის მიღება სოც მეწარმეობის განვითარების პერსპექტივებზე“;

„კარგი მარკეტინგი, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა;“ „ადგილზე ადამიანური რესურსების განვითარება;“ „ვერსონალის უნარების ზრდა, განვითარება;“

საკანონმდებლო, საგადასახადო ცვლილებები - „კანონმდებლობის დახვეწა“; „საგადასახადო შეღავათების დაწესება“;

დამატებითი ინვესტირება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს კი ორგანიზაციები ძირითადად საკუთარი ცოდნის და პრაქტიკის გაღრმავება და განვითარებასა და პროფესიული ზრდაში ხედავენ გარდა ამისა, დასახელდა მარკეტინგის განვითარების და მომსახურების გამრავალფეროვნების, მოთხოვნის ადეკვატური სერვისის შექმნის და განვითარების აუცილებლობა; საკუთარი საქმიანობის დახვეწა, გაფართოება სერვისის ხარისხის გაუმჯობესება; კვალიფიციური ადამიანური რესურსის მოზიდვა; ბიზნეს ინკუბატორების შექმნა; სესხის საგრანტო ფონდების შექმნა; იაფი სესხების ხელმისაწვდომობა; დამხმარეგრანტები ხელმისაწვდომობა; ადამიანური რესურსების გადამზადება; სწორი მენეჯმენტი; მთავრობასთან თანამშრომლობა;

სოფლად სათემო ორგანიზაციების განვითარების მდგომარეობა

ძირითადი შედეგები

- საქართველოს სოფლებში სათემო ორგანიზაციების დაარსება, როგორც წესი, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების /ფონდების სათემო ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში ხდებოდა. დონორის მხარდაჭერის გარეშე ასეთ ჯგუფებს უჭირთ საქმიანობის გაგრძელება/ მასშტაბის შენარჩუნება. ხმირად ისინი წყვეტენ საქმიანობას და მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. კვლევის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციები 1999-2009 წლებში არიან დარეგისტრირებულები.
- გამოკითხული სათემო ორგანიზაციებიდან რეგისტრირებულია ორი მესამედი (61,7%); სათემო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა (88%) სოფლებში ფუნქციონირებს.
- სათემო ორგანიზაციების უმრავლესობის საქმიანობის სფეროებია: თემის განვითარება, სოფლის / სოფლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, გარემოს დაცვა, განათლება, სოციალური კეთილდღეობა, კულტურა და სოფლის მეურნეობა. სათემო ორგანიზაციებს განხორციელებული აქვთ როგორც დონორების დაფინანსებული, ასევე თვითდაფინანსებული და თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული/თანადაფინანსებული პროექტები (საშუალოდ 2-4).
- სათემო ორგანიზაციებისათვის საკმაოდ პრობლემატურია ორგანიზაციის საქმიანობისა და სერვისის შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
- სათემო ორგანიზაციების მიერ დასახელებული პრობლემების სიაში პირველ ადგილზეა დაფინანსების მოპოვების სირთულე. დაფინანსებასთან დაკავშირებულ პრობლემათაგან დასახელდა აგრეთვე ადგილობრივ თემში თანხების მობილიზების სირთულე, რეგიონებში დონორების წარ-

- მომადგენლობების არარსებობა / დონორების პასიურობა რეგიონებში და სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების სირთულე.
- სათემო ორგანიზაციების (92%) უმრავლესობას აქვს თანამშრომლობითი ურთიერთობა ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, ერთი მხრივ, ამ სათემო ორგანიზაციების მხარდამჭერმა დონორმა ორგანიზაციებმა, ხოლო, მეორე მხრივ, ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო პროგრამის — „ფული ყველა სოფელს“ — განხორციელებამ. ბიზნესსექტორთან სათემო ორგანიზაციებს პრაქტიკულად არ აქვთ ურთიერთობა, ერთობლივი პროექტის /საქმიანობის განხორციელების გამოცდილება აქვს მხოლოდ მეტყედ ნანილს.
 - შესწავლილი სათემო კავშირების უმეტესობის სამიზნე ჯგუფია თემი / თემში მცხოვრები გლეხები/ფერმერები, თუმცა ნანილი მათგანი უფრო ვიწრო ჯგუფებზეც მუშაობს. მაგ.: ქალები, ახალგაზრდები, ბავშვები, დევნილები, მოხუცები.
 - აქტიური წევრების რაოდენობა სათემოებში საშუალოდ არის 6-7 ადამიანი. ანაზღაურებადი მუდმივი თანამშრომლების რაოდენობა, როგორც წესი, არის 1-2. გამოკითხულთა მესამედს საერთოდ არ ჰყავს მუდმივად ანაზღაურებადი თანამშრომელი. მოხალისეები ჰყავს მხოლოდ მესამედზე ნაკლებს.
 - პროცედურების ფორმალიზაციის ხარისხი სათემო ორგანიზაციებში დაბალია, თუმცა გარკვეული ასპექტები მოწესრიგებულია, ძირითადად, დონორების/პარტნიორების მხარდაჭერისა და მათი მხრიდან განული ტექნიკური დახმარების მეშვეობით.
 - სათემო კავშირების ორ მესამედს აქვს ძირითადი საოფისე ტექნიკა: ტელეფონი, კომპიუტერი, პრინტერი და ასლგადამლები აპარატი. სათემო კავშირების 83%-ს ბოლო 2 წლის განმავლობაში თითო დონორისგან მაინც მიუღია დაფინანსება. ამასთან გრანტებით მიღებული შემოსავალი მესამედისთვის შეადგენს მთელი ბიუჯეტის 50-100%-ს.
 - გამოკითხულთაგან ნახევარზე მეტს აქვს მოსახლეობისგან თანხების მობილიზების გამოცდილება. 44%-ს შემოსავალი აქვს სამენარმეო საქმიანობიდანაც, თუმცა ხშირად ძალიან მცირე. საკუთარი შემოსავლები სათემო ორგანიზაციების უმეტესობას ორგანიზაციის საოფისე ტექნიკის გამოყენებით აქვს მიღებული - ასლების გადაღება, ტექსტების აკრეფა. ფერმერული ასოციაციები თანხების მოძიებას ახერხებენ ვეტერინარული მომსახურებით, სათესლე / სანერგე მასალის წარმოებით, სასუქებისა და შესამქიმიკატების გაყიდვით.
 - 2007-2009 წლების განმავლობაში, სათემო კავშირების წლიური ბიუჯეტი, როგორც წესი, არ აღემატებოდა 5000 დოლარს. ბოლო 2 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლებად უწყვეტი დაფინანსება აქვს ორგანიზაციების მხოლოდ მესამედს.

მონაცემების აღწერა

სათემო ორგანიზაციების დაარსება

საქართველოს სოფლებში სათემო ორგანიზაციების დაარსება, როგორც წესი, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების /ფონდების სათემო ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამების ფარგლებში ხდებოდა. ასეთი პროგრამების დასრულების შემდეგ, როგორც წესი საქმაოდ რთულია სათემო ორგანიზაციებისთვის შემდგომი განვითარება და აქტივობების შენარჩუნება. ამდენად ხშირია შემთხვევები, როცა ამა თუ იმ დონორის ინიციატივით დაარსებული სათემო ორგანიზაციები წყვეტენ საქმიანობას და მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. ჩვენს შერჩევაში მოხვედრილი სათემო კავშირები დაარსების ისტორიის მიხედვით გამოიყო თასი ჯგუფი:


- თემის ინიციატივით, საერთო პრობლემის მოგვარების მიზნით
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის ინიციატივით
- ქართული ფონდის ინიციატივით
- მუნიციპალური განვითარების ფონდის ინიციატივით

გამოკითხული ორგანიზაციები 1999-2009 წლებში არიან დარეგისტრირებული. რეგისტრაციის რაოდენობის დინამიკის თვალსაზრისით რაიმე ტენდენცია არ გამოიკვეთა, ამ წლების განმავლობაში დაახლოებით თანაბრად არის განაწილებული რეგისტრაციის მაჩვენებლები.

იურიდიული ფორმა


გამოკითხული 47 სათემო ორგანიზაციიდან თითქმის ორი მესამედი (61,7%) რეგისტრირებულია (ააიპ), დანარჩენი კი არარეგისტრირებული კავშირებია. სათემო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა (88%) სოფლებში ფუნქციონირებს, თუმცა მათი საქმიანობა ხშირ შემთხვევაში სცილდება ერთი სოფლის ფარგლებს. როგორც წესი, ისინი ემსახურებიან მიმდებარე რამდენიმე სოფლის ან რაიონის თემის. საკუთარი საქმიანობის გავრცელებას ისინი ახერხებენ ორგანიზაციის ხელმძღვანელების ვიზიტებით. იმვიათ შემთხვევაში მათ ჰყავთ საკონტაქტო პირი სოფლებში.

დიაგრამა 112. სათემო ორგანიზაციების საქმიანობის გავრცელების არეალი



სათემო ორგანიზაციების უმრავლესობის საქმიანობის სფეროებია: თემის განვითარება, სოფლის / სოფლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, გარემოს დაცვა, განათლება, სოციალური კეთილდღეობა, კულტურა და სოფლის მეურნეობა.


დიაგრამა 113. სათემო ორგანიზაციების საქმიანობის სფეროები



საზოგადოებრივი ორგანიზაციათა განვითარების ანგარიში

საქმიანობისას სათემო ორგანიზაციებს ყველაზე ხშირად უწევთ ინფორმაციის მოგროვება ადგილობრივი პრობლემების შესახებ, თემის პრიორიტეტების კვლევა. საკმაოდ ხშირია კომპიუტერული კურსების და ხელსაქმის წრეების ორგანიზება ადგილებზე, რაც მათი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს. ახალგაზრდული ჯგუფები აწყობენ სხვადასხვა სახის სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს, ფერმერული ასოციაციები საკუთარ წევრებს (თემს) სთავაზობენ სასოფლო სამეურნეო საკითხებზე კონსულტირებას, სათესლე და სანერგე მასალით უზრუნველყოფას.

დიაგრამა 114. ორგანიზაციების საქმიანობის ფორმები



გარდა ამისა ორგანიზაციებმა დაასახელეს საქმიანობის შემდეგი ფორმები:

- გზების რეაბილიტაცია
- რძის ჩამბარებელი პუნქტების ორგანიზება
- საპროტესტო აქციები
- გამოფენა-გაყიდვების მოწყობა
- ნერგების / სათესლე მასალის დარიგება
- ჰუმანიტარული დახმარება

საშუალოდ, გამოკითხული სათემო ორგანიზაციებს განხორციელებული აქვთ 4 პროექტი დონორების დაფინანსებით, თვითდაფინანსებით - 3, ხოლო თვითმმართველობის დაფინანსებით ან თანადაფინანსებით - დაახლოებით ორიოდე პროექტი.

ცხრილი № 13 ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები

	საშაულოდ	მაქსიმუმი	სულ ჯამში
დონორების დახმარებით	4,4	18	202
თვითდაფინანსებით	3,6	24	87
თვითმმართველობის დაფინანსებით /თანადაფინანსებით	1,8	4	31

თვითდაფინანსებით და თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტების მაგალითებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება - სოფლის ეკლესიის შემოღობვა
- მეცნიახობის, როგორც ამბროლაურის ეკონომიკის სტრატეგიული მიმართულების კვლევა
- რთველის მონიტორინგი
- საწრეტი არხის პრობლემის მოგვარება თანადაფინანსებით
- სოფლის კლუბის მოწყობა თანადაფინანსებით


- სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები
- ეკოლოგიური აქცია - დედამიწის დღე, დასუფთავების აქცია, გამწვანების აქცია
- სოფლის სკვერის მოწყობა
- რკინის წყლის წყაროს კეთილმოწყობა
- სასმელი წყლის მიღების რეაბილიტაცია
- დაბალი ძაბვის სადენების რეაბილიტაცია
- სილოსის დამზადება
- ხიდის მშენებლობა
- ექსკურსიები

ორგანიზაციის საქმიანობისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელება პრობლემას წარმოადგენს სათემო ორგანიზაციებისთვის, მათ არ აქვთ ინფორმაციის გავრცელების რაიმე ეფექტური საშუალება, ყველაზე ხშირად დასახელდა ასოციაციის შესახებ ბუკლეტების გამოცემა-დარიგება, რასაც დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ახერხებენ.

სათემო ორგანიზაციების წარმატებები და პრობლემები

